პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 6 (9474) | ხუთშაბათი, 8 იანვარი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

თანამედროვე ტექნიკა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის წყაროა—«პრავდის» 6/I მოწინავე (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა უზრუნველყონ ამხანაგ სტალინის ნაშრომის, პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა გულმოდგინე შესწავლა (მე-2 გვერდი).

ე. მამალაძე, ს. მუმლაძე — ზესტაფონელებმა უნდა აღკვეთონ გულგრილი დამოკიდებულება ვენახების სამუშაოებისადმი (1-ლი გვერდი).

აგიტატორის დასახმარებლად. ნ. გუნდობინი — სსრ კავშირის რკინიგზის ტრანსპორტი [illegible] (მე-2 გვერდი).

საბჭოთა სკოლა ახალი [illegible] (მე-3 გვერდი).

ე. ქარელიშვილი — დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატი პოეტი (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).

1948 წლის სახელმწიფო 2% სესხის დაფარვის ტირაჟის ცხრილი (მე-4 გვერდი).

თანამედროვე ტექნიკა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის წყაროა

„პრავდის" 6/I მოწინავე

ჩვენს ქვეყანაში საკოლმეურნეო წყობილების შექმნა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის გზების შესახებ ლენინურ-სტალინური მოძღვრების გამარჯვებაა. დღეს სრულდება ოცდაათი წელიწადი მას შემდეგ, რაც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა დაწერა თავისი შესანიშნავი სტატია „კოოპერაციის შესახებ". ამ ისტორიულ დოკუმენტში ლენინმა ყოველმხრივ დასაბუთა თავისი გენიალური კოოპერაციული გეგმა, სოციალიზმის რელსებზე მილიონობით წვრილი და უწვრილესი გლეხური მეურნეობის გადაყვანის გეგმა.

ლენინის კოოპერაციულ გეგმაზე დაყრდნობით, ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა და პრაქტიკულად განახორციელა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის თეორია, რამაც უზრუნველყო უმაგალითო სარბიელი ჩვენი მწარმოებელთა სარბიელი ჩვენი მწარმოებელთა საწარმოო ძალების აღმავლობისათვის.

„8-10 წლის მანძილზე, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში განვახორციელეთ ბურჟუაზიული ინდივიდუალურ-გლეხური წყობილებიდან სოციალისტურ, საკოლმეურნეო წყობილებაზე გადასვლა. ეს იყო რევოლუცია, რომელმაც სოფლად მოსპო ძველი ბურჟუაზიული სამეურნეო წყობილება და შექმნა ახალი, სოციალისტური წყობილება".

დიდი რევოლუციური გარდაქმნების შედეგად საბჭოთა კავშირში შეიქმნა მსოფლიოში ყველაზე მსხვილი, ყველაზე მექანიზებული სოციალისტური მწარმოებელი. სოფლის მეურნეობის განვითარების სოციალისტურმა გზამ მოკლე ისტორიულ ვადაში ცხადყო თავისი სრული უპირატესობა კაპიტალისტური გზის წინაშე.

კოლექტივიზაციის მეთოდი უაღრესად პროგრესული მეთოდია არა მარტო იმიტომ, რომ იგი არ მოითხოვდა გლეხთა გაღატაკებას, არამედ და განსაკუთრებით იმიტომ, რომ მან მოგვცა შესაძლებლობა რამდენიმე წლის მანძილზე მთელი ჩვენი ქვეყანა დაგვფარა მსხვილი კოლექტიური მეურნეობებით, რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ ახალი ტექნიკა, გამოიყენონ ყველა აგრონომიული მიღწევა და ჩვენს ქვეყანას მისცენ მეტი სასაქონლო პროდუქცია. საკოლმეურნეო წყობილებამ გამოაღვიძა საბჭოთა გლეხობის მძლავრი შემოქმედებითი ძალები, დარაზმა ადამიანები დიდი შრომითი გმირობისათვის. როგორც ომის წლებში, ისე ომისშემდგომ პერიოდში კოლმეურნეობებმა ღირსეულად შეასრულეს და ასრულებენ თავიანთი მშობლიური სახელმწიფოს დავალებებს.

სოფლის მეურნეობის განვითარებაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებმა გასულ წელს. მარცვლეულის საერთო მოსავალი 8 მილიარდ ფუთს შეადგენს. გადიდდა უმნიშვნელოვანესი ტექნიკური კულტურების — ბამბისა და შაქრის ჭარხლის წარმოება. გაიზარდა კარტოფილის, ზეთოვანი და საკვები კულტურების, სელის, ბოსტნეულის მოსავლიანობა.

გენიალურ ნაწარმოებში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში" ამხანაგი ი. ბ. სტალინი წერს:

„ჩვენ ყველას გვიხარია ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების უზარმაზარი ზრდა, მარცვლეულის წარმოების, ბამბის, სელის, ჭარხლისა და სხვ. წარმოების ზრდა. სად არის ამ ზრდის წყარო? ამ ზრდის წყაროა თანამედროვე ტექნიკა, მრავალრიცხოვანი თანამედროვე მანქანები, რომლებიც წარმოების ყველა ამ დარგს ემსახურება. საქმე აქ საერთოდ მარტო ტექნიკა კი არაა, არამედ ის, რომ ტექნიკა არ შეიძლება ერთ ადგილზე იდგეს, ის მუდამ სრულყოფილი უნდა ხდებოდეს, რომ ძველი ტექნიკა მწყობრიდან უნდა გამოდიოდეს და იცვლებოდეს ახლით, ახალი კი — უახლესი ტექნიკით. უამისოდ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ჩვენი სოციალისტური მიწათმოქმედების წინსვლა, არ შეიძლება წარმოვიდგინოთ არც დიდი მოსავალი, არც სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვე".

პარტია, ამხანაგი სტალინი დაუცხრომლად ზრუნავენ სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვისათვის. ომისშემდგომ წლებში მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში სატრაქტორო პარკის საერთო სიმძლავრე ომამდელ დონესთან შედარებით გადიდდა 59 პროცენტით და კომბაინებისა — 51 პროცენტით. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში გავიდნენ ახალი, უფრო სრულყოფილი, დიზელისძრავებიანი მუხლუხა ტრაქტორები, თვითმავალი კომბაინები, სათიბი მანქანები, ჭარხლის კომბაინები, სელის კომბაინები, ბამბის საკრეფი და სხვა დიდი წარმადობის მანქანები. ბევრი ახალი მანქანა მიიღო სოფლის მეურნეობამ მეცხოველეობაში შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის. გაფართოვდა მტს-ების ქსელი, შეიქმნა ბევრი სადგური, რომლებიც ომამდე არ ყოფილა, — ტყესაცავი, მდელოსამელიორაციო, მეცხოველეობის სამანქანო სადგურები.

პარტიის XIX ყრილობამ დირექტივებში მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დასახა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის შემდგომი გაძლიერების ამოცანა, მტს-ების სატრაქტორო პარკის სიმძლავრე ხუთწლედის ბოლოსათვის გადიდდება დაახლოებით 50 პროცენტით. დამთავრდება კოლმეურნეობებში მინდვრის ძირითადი სამუშაოების მექანიზაცია. ფართოდ ჩაღდება შრომატევადი პროცესების მექანიზაცია მეცხოველეობაში და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში.

ამ ამოცანების გადაჭრაში წამყვანი როლი ეკუთვნით მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს. მათ უნდა გააფართოონ თავიანთი საქმიანობა საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგში შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციისათვის, გაუმჯობესონ ტექნიკის გამოყენება. ახალ ხუთწლედში დასახულია ამოცანა — ტრაქტორის ღღიური გამომუშავება გადიდებულ იქნას დაახლოებით 50 პროცენტით.

მანქანების დიდი წარმადობით გამოყენება პირველ რიგში დამოკიდებულია მექანიზატორთა კადრების კვალიფიკაციაზე. ცნობილია, რომ უუბანს ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონის, ტექნიკის უნარიანი გამოყენების მხრივ. უუბანის მტს-ების წარმატება იმით აიხსნება, რომ მხარის პარტიული და საბჭოთა ორგანოები ყოველდღიურად ზრუნავენ ტრაქტორისტების, კომბაინერების, ბრიგადირების, მექანიკოსების მომზადებისა და აღზრდისათვის.

ჩვენში შექმნილია მექანიზატორთა საწარმოო კვალიფიკაციის განუხრელი ზრდის ყველა პირობა. ჩვენს ქვეყანაში მოქმედებს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სკოლებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან არსებული კურსების ფართო ქსელი. ისინი ამზადებენ ტრაქტორისტებსა და კომბაინერებს, ბრიგადირებსა და მექანიკოსებს — მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ოსტატებს.

ამჟამად სკოლებში და კურსებზე გაცხარებული სწავლის დროა. მეცადინეობა დაიწყო მრავალმა ათეულმა ათასმა მომავალმა ტრაქტორისტმა, კომბაინერმა, ბრიგადირმა, მექანიკოსმა. ორგანიზებულად დაიწყო სასწავლო წელი უკრაინის ოლქებში და ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ სხვა რაიონებში. ამ რაიონების პარტიულმა ორგანიზაციებმა დროზე იზრუნეს იმისათვის, რომ სასწავლად გაეგზავნათ საკოლმეურნეო სოფლის საუკეთესო ადამიანები.

მაგრამ ყველგან როდი ექცევა სათანადო ყურადღება კადრების მომზადებას. ცნობილია, რომ ვლადიმირის, კალუგის, კოსტრომის ოლქების ბევრმა მტს-მა დამაკმაყოფილებლად ვერ დაამთავრა გასული სასოფლო-სამეურნეო წელი. საგზაფხულო თესვისა და მოსავლის აღების აღორძინების დროს აქ ასობით ტრაქტორი ერთ ცვლად მუშაობდა მძღოლთა ნაკლებობის გამო. ამ ოლქების პარტიული და საბჭოთა ორგანოები კი ამჟამადაც არ იღებენ გადამწყვეტ ღონისძიებებს, რათა დროზე გაგზავნონ ადამიანები სასწავლად.

კვალიფიციურ მექანიზატორთა კადრების მომზადებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მანქანა-ტრაქტორთა პარკის წარმადობის გადიდებისათვის. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მოვალეობაა მიიღონ ღონისძიებანი სკოლებისა და კურსების დაკომპლექტების რაც შეიძლება მალე დამთავრებისათვის, მიაღწიონ მექანიზატორთა თეორიული და პრაქტიკული მომზადების დონის ამაღლებას.

გამოცდილი კადრების მომზადებასთან ერთად მანქანების წარმადობის გადიდების საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი აქვს მექანიზმების სანიმუშო რემონტს, ტექნიკისადმი ფრთხილ მოპყრობას. ჩვენი ქვეყნის მოწინავე მტს-ები რემონტის პროგრესული კვანძური მეთოდის დანერგვით უზრუნველყოფენ მუშაობის მაღალ ხარისხს, ამცირებენ სახსრებისა და შრომის ხარჯს.

მაგრამ მთელ რიგ რაიონებში კიდევ შესამჩნევია ტექნიკისადმი უყაირათო მოპყრობა. მაგალითად, ტიუმენის ოლქის ზოგიერთი მტს-ის ხელმძღვანელები მიეჩვიენ იმას, რომ მანქანები ზამთრის პერიოდში გარეთ დგას, ძვირფასი მექანიზმები ფუჭდება და ნაადრევად გამოდის მწყობრიდან. ამ ოლქში ნელა და არაორგანიზებულად ამზადებენ მანქანა-ტრაქტორთა პარკს მინდვრის სამუშაოებისათვის. ძლიერ ჩამორჩება სმოლენსკის, ველიკიე ლუკის, კალინინის, პენზის ოლქების მტს-ების ტრაქტორთა რემონტი.

ახლანდელ პირობებში, როცა მტს-ების საქმიანობაზე დიდად არის დამოკიდებული კოლმეურნეობათა საწარმოო მუშაობის წარმატება, ადგილობრივი პარტიული ორგანოები მოვალენი არიან აამაღლონ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისადმი ხელმძღვანელობის დონე. საჭიროა განმტკიცდეს მტს-ების პარტიული ორგანიზაციები და დახმარება გაეწიოთ მათ მექანიზატორთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაჩაღებაში, მოწინავე გამოცდილების გავრცელებასა და დანერგვაში.

პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი ითვალისწინებენ სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას. ასრულებენ რა ყრილობის გადაწყვეტილებებს, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები მოწოდებული არიან უზრუნველყონ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის გაუმჯობესება, გაძლიერონ მათი როლი სოფლის მეურნეობის დარგში მთავარი ამოცანის განხორციელებისათვის, ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის ბრძოლაში.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. ი. სნეჩკუსის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. ი. სნეჩკუსის დაბადების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით და პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი დამსახურების აღსანიშნავად ამხანაგი ანტანას იუოზის-ძე **სნეჩკუსი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. შვერნიკი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი.**

მოსკოვი, კრემლი.
1953 წ. 6 იანვარი.

ნეკრასოვის დღეები

ლენინგრადი. გუშინ ნევის ფეიქართა კულტურის სახლის ბიბლიოთეკასა და სამკითხველო დარბაზში გაიხსნა დიდი რუსი დემოკრატი პოეტის ნ. ა. ნეკრასოვის გარდაცვალების 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენები. სტენდებზე წარმოდგენილია პოეტის პორტრეტები, რომლებიც გადაღებულია მისი სიცოცხლის სხვადასხვა წელს, მის ნაწარმოებთა ილუსტრაციები, ნ. ა. ნეკრასოვის თხზულებათა გამოცემანი, ლიტერატურა მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

კულტურის სახლის მხატვრული თვითმოქმედების წრეების მონაწილენი ბიბლიოთეკების მუშაკებთან ერთად ამზადებენ ნ. ა. ნეკრასოვის ხსოვნის ლიტერატურულ საღამოს.

ხარკოვი. უკრაინის სსრ წიგნის პალატის ცნობებით, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ნ. ა. ნეკრასოვის ნაწარმოებნი რესპუბლიკაში უკრაინულ და რუსულ ენებზე თითქმეტჯერ გამოიცა 350 ათას ცალზე მეტი ტირაჟით.

1952 წელს ოცდაათიათასიანი ტირაჟებით გამოიცა უკრაინულ ენაზე „საბავშვო ლექსები" და პოემა „რუსი ქალები".

სტალინაბადი. ტაჯიკეთის მშრომელები ფართოდ აღნიშნავენ დიდი რუსი დემოკრატი პოეტის ნ. ა. ნეკრასოვის გარდაცვალების 75-ე წლისთავს.

საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და სასწავლებლებში კითხულობენ ნეკრასოვის შემოქმედებისადმი მიძღვნილ ლექციებს. პოეტის ცხოვრებისა და ლიტერატურული მოღვაწეობის ამსახველი გამოფენები გაიხსნა ტაჯიკეთის სსრ ფირდოუსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში, საფეიქრო კომბინატში, სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სამედიცინო და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებში.

ჩებოკსარი. რესპუბლიკაში ყველგან ეწყობა ლექციები და ნეკრასოვის ნაწარმოებთა კითხვა.

გორკის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში გახსნილ გამოფენაზე ფართოდ არის წარმოდგენილი ჩუვაშურ ენაზე ნათარგმნი ნ. ა. ნეკრასოვის ნაწარმოებნი. 1900 წელს ერთ-ერთი მისი ლექსი „სიმღერა" შეტანილ იქნა ჩუვაშურ საანბანო წიგნში. საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩუვაშურ ენაზე გამოვიდა პოემა „ტყის კაფვა" („საშა"), ნაწყვეტები პოემიდან „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად" და ბევრი ლექსი.

6 იანვარი (საკდესი).

მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ და საფეიქრო, ტყავეულისა და ფეხსაცმლის, სამკერვალო და ტრიკოტაჟის და მრეწველობის მთელი რიგი სხვა დარგების მუშათა პროფკავშირების ცენტრალურმა კომიტეტებმა დაამტკიცეს ახალი პირობები მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრებისა, რომელიც წარმოებს საუკეთესო ხარისხის ბრიგადის, უბნის, ცვლის, საამქროს, საწარმოს წოდების მოსაპოვებლად.

სოციალისტური შეჯიბრების ეს პირობები, რომლებიც შემუშავებულია მსუბუქი მრეწველობის ყოველი ცალკეული დარგისათვის, გადიდებულ მოთხოვნებს უყენებენ შეჯიბრებაში ჩაბმულ კოლექტივებს პროდუქციის ხარისხის, ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობის, ტექნიკის გამოყენების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და წარმოების კულტურის გაუმჯობესების დარგში.

საუკეთესო ხარისხის საწარმოს წოდება მიენიჭება ყოველკვარტალურად იმ საწარმოებს, რომლებიც უზრუნველყოფენ გეგმასთან შედარებით პირველი ხარისხის პროდუქციის ყველაზე მეტ გამოშვებას, ნედლეულის მომჭირნეობით გამოყენებას, რიტმულ მუშაობას კვარტალის განმავლობაში, იმ ნაწარმის ასორტიმენტის გაფართოებას, რომელსაც ყველაზე მეტად მოითხოვენ, და სხვა მაღალ ხარისხობრივ მაჩვენებლებს, როცა არ არის მომხმარებელთა რეკლამაცია. (საკდესი).

მინსკის ახალმშენებლობანი

მინსკი, 6 იანვარი. (საკდესი). აქ კირქვის ქუჩაზე საექსპლოატაციოდ გადაეცა ლამაზი შენობა. ამ შენობაში მოთავსდება ბელორუსიის სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო. სტალინის პროსპექტზე დაიწყო მობინადრეთა ჩასახლება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში, დამთავრდა მთელი რიგი ადმინისტრაციული შენობების აგება.

გასულ წელს მინსკის მშრომელებმა მიიღეს ორი ათასამდე ბინა. უფრო განვითარდა მთელი საქალაქო მეურნეობა. დამთავრდა ვაგზლისპირა და ცენტრალური მოედნების რეკონსტრუქცია, ხიდის მშენებლობა მდინარე სვისლოჩზე, ამუშავდა ტროლეიბუსის ხაზის პირველი რიგი.

ახლა მიმდინარეობს მდინარე სვისლოჩის წყალის რეჟიმის რეგულირების, საცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობების თბოფიკაციის სამუშაოები; წლის დამლევამდე გაფართოვდება მოქმედი საწარმოები, აშენდება ახალი ფაბრიკა-ქარხნები. უკვე შენდება მელანჟის კომბინატის, მინერალური ბამბის ქარხნის, საშენი მასალების მთელ რიგ საწარმოთა კორპუსები.

კინონარკვევი „ბარაბინსკის დაბლობში"

ნოვოსიბირსკი, (საკდესი). ნოვოსიბირსკის კინოქრონიკის სტუდიამ გამოუშვა კინონარკვევი „ბარაბინსკის დაბლობში". კინონარკვევი მოგვითხრობს როგორ მიმდინარეობს ბუნების გარდაქმნა ველში, როგორ ხორციელდება პარტიის XIX ყრილობის დირექტივები ბარაბინსკის დაბლობში ჭაობების ამოშრობის შესახებ. ფილმი გვიჩვენებს სამელიორაციო სამუშაოთა გაქანებას, მძლავრ საბჭოთა ტექნიკას არხების გათხრაში.

ზესტაფონელებმა უნდა აღკვეთონ გულგრილი დამოკიდებულება ვენახების სამუშაოებისადმი

★

„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტებისაგან

★

ზესტაფონის რაიონის ეკონომიკაში მევენახეობას მთავარი, წამყვანი ადგილი უჭირავს. მაგრამ იმის გამო, რომ გასულ წლებში ცუდად იმუშავეს და მოწინავე აგროტექნიკა არ განახორციელეს, უურძნის მოსავლიანობა საგრძნობლად შემცირდა. შარშან გეგმით გათვალისწინებული 50 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე საშუალოდ 27 ცენტნერი ყურძენი მიიღეს.

ზესტაფონელი მევენახეები მოსავლიანობის გადიდების დიდ შესაძლებლობას წელსაც ვერ იყენებენ, სუსტად იბრძვიან მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის. ზესტაფონელ კომუნისტებს დღემდე არ გაუკეთებიათ საჭირო დასკვნები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ა. ი. მგელაძის მითითებიდან იმის შესახებ, რომ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა უნდა აღკვეთონ მევენახეობის შეუფასებლობა, სოფლის მეურნეობის ამ დარგისადმი არასწორი, გულგრილი ხელმძღვანელობა, გადაჭრით მოუღონ ბოლო უპასუხისმგებლობას, დაუდევრობას მუშაობაში, მოაგვარონ შესრულების შემოწმება, გააძლიერონ თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის.

ამიტომ რაიონი მკვეთრად ჩამორჩა ვენახების საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოებში. ხელსაყრელი ამინდების მიუხედავად, 5 იანვრისათვის ვენახები მწკრივთა შორის დამუშავებული იყო 800 ჰექტარზე, გეგმა კი 1.992 ჰექტარის დამუშავებას ითვალისწინებს, მინერალური სასუქი შეტანილია მხოლოდ 407 ჰექტარზე. კოლმეურნეობები ჩამორჩნენ სავლანტაჟე ნიადაგის მომზადებაში, ხოლო ნამყენი ვაზის ამოღების გეგმა სანახევროდ არის შესრულებული. ეს ჩამორჩენა იმით არის გამოწვეული, რომ პარტიის ზესტაფონის რაიკომი (მდივანი ამხ. ზ. კიკნაძე) და რაისაბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე ამხ. ს. ფერაძე) კვლავ არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ მევენახეობის სამუშაოებს და ჯერ კიდევ სათანადოდ არ დაურაზმავთ კოლმეურნეები დასახული ამოცანის განუხრელად შესრულებისათვის საბრძოლველად. კოლმეურნეობებში მთლიანად არ იყენებენ არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ და შრომითს რესურსებს, არ ნერგავენ მოწინავეთა გამოცდილებას, უხეშად არღვევენ ვენახების მოვლის აგროტექნიკურ ვადებს, უყურადღებობას იჩენენ ახლადგაშენებული ვენახების დამუშავებისა და მოვლა-პატრონობისადმი და, ამრიგად, ამ მნიშვნელოვანი ღონისძიებების შეუფასებლობით ხელიდან უშვებენ მოსავლიანობის გადიდების ხელსაყრელ საშუალებებს.

სოფელ პირველი სვირის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ამხ. დ. ღიბრაძე) ჩამორჩა ვენახების საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოებში, 75,8 ჰექტარიდან მწკრივთა შორის დამუშავებულია 25 ჰექტარი, აქ ვენახებს ცუდად უვლიან. მათი დიდი ნაწილი შეუღობავია და პირუტყვისაგან ნადგურდება. ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, მ. წაქაძის ბრიგადის ნაკვეთებში.

სოფელ როდინოულის კოლმეურნეობაში ხელიდან გაუშვეს კარგი ამინდები და ახლახან დაიწყეს ვაზის დამუშავება. სასუქი მხოლოდ ოთხ ჰექტარზე შეიტანეს და ისიც აგროწესების დარღვევით. კოლმეურნეობაში დაბალია შრომის დისციპლინა, მოუწესრიგებელია შრომა, შექმნილი არ არის მევენახეობის სპეციალური ბრიგადები. კოლმეურნეთა ერთი ნაწილი მთელი შესაძლებლობით არ მუშაობს კოლმეურნეობაში. 437 შრომისუნარიან კოლმეურნეს გასული წლის ნოემბერ-დეკემბერში ვენახების სამუშაოებში მხოლოდ 346 შრომადღე აქვს გამომუშავებული. კოლმეურნეობის ვენახები პირუტყვის ზამთრის საძოვრად არის გადაქცეული. 4 იანვარს ჩვენ ვნახეთ, რომ 8 ჰექტარ ვენახში სხვა ცხოველებთან ერთად ცხენის ჯოგი ძოვდა. არც ახლადგაშენებულ ვაზს უვლიან. კოლმეურნეობის კანტორის ახლოს გზის პირად შარშან გაშენებული ერთი ჰექტარი ვენახი მოუვლელობით განადგურებულია.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დიდი ხანი არ არის, რაც ახალგაზრდა აგრონომი ქალი ე. მაღლაკელიძე დაწინაურეს. მოსალოდნელი იყო, რომ მას დაეხმარებოდნენ მუშაობაში, მაგრამ ასე არ მოხდა. ამ კოლმეურნეობაში პარტიის რაიონული კომიტეტის მდივნები და რაისაბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელი მუშაკები მხოლოდ გავლით დადიან, საფუძვლიანად არ სწავლობენ კოლმეურნეობის ეკონომიკას, არ არიან საქმის კურსში და ახალ თავმჯდომარეს სათანადო დახმარებას ვერ უწევენ.

ზესტაფონის მანქანა-ტრაქტორთა სადგური (დირექტორი ამხ. ა. ჩუბინიძე) არადამაკმაყოფილებლად იბრძვის კოლმეურნეობებთან დადებულ ხელშეკრულებათა შესასრულებლად. 4 იანვრისათვის მტს-ს 104,5 ჰექტარის ნაცვლად საკენახე პლანტაჟი მომზადებული ჰქონდა 67,25 ჰექტარზე. ამ საქმეში შეფერხებას ისიც იწვევს, რომ სოფელ ქლდეეთის, როდინოულის და ქვედა საქარის ბერიას სახელობის კოლმეურნეობები ტრაქტორისტებს არ უქმნიან შრომის ნორმალურ პირობებს, რაც უარყოფითად მოქმედებს ტრაქტორების მუშაობაზე.

რაიონის კოლმეურნეობებში ვენახების საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად იმის შედეგიც არის, რომ დაბალია მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. ბევრგან პარტიული ორგანიზაციები არ განიხილავენ მევენახეობის განვითარებისა და უურძნის მოსავლიანობის გადიდების აქტუალურ საკითხებს, არ განაზოგადებენ მოწინავე მევენახეთა გამოცდილებას, იშვიათად აწყობენ ლექციებსა და მოხსენებებს მევენახეობის განვითარების საკითხებზე. მაგალითად, სოფელ მეორე სვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადს პარტიულ ორგანიზაციას აგვისტოდან მევენახეობის ცალკეული საკითხები არც ერთხელ არ მოუსმენია პარტიიურ სხდომასა და პარტიულ კრებაზე. შემთხვევიდან შემთხვევამდე ეწყობა საგიტაციო საუბრები. ასეთ ფაქტებს რაიონის მევენახეობის სხვა კოლმეურნეობებშიც ვხვდებით.

პარტიის რაიონული კომიტეტი და რაისაბჭოს აღმასკომი, მართალია, განიხილავენ მევენახეობის განვითარების ცალკეულ საკითხებს, გამოაქვთ დადგენილებანი, მაგრამ ივიწყებენ მთავარს — მიღებული დადგენილების შესრულების სისტემატურ შემოწმებას. ამიტომ დადგენილებანი ხშირ შემთხვევაში ქაღალდზე რჩება.

საჭიროა პარტიის ზესტაფონის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა სათანადო დასკვნა გააკეთონ მევენახეობაში შექმნილი მდგომარეობიდან და აღკვეთონ გულგრილი, უპასუხისმგებლო დამოკიდებულება მევენახეობისადმი.

გასული წლის დეკემბერში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მევენახეობის საკითხებზე შემდგარ თათბირზე პარტიის ზესტაფონის რაიკომის მდივანმა ამხ. ზ. კიკნაძემ რაიონის მშრომელთა სახელით სიტყვა მისცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ 1953 წელს ჰექტარზე საშუალოდ რაიონში მოიყვანენ 60 ცენტნერ ყურძენს. ვენახების სამუშაოთა ახლანდელი მდგომარეობა კი არ იძლევა იმის საბუთს, რომ რაიონში სათანადოდ ჰქონდეთ შეგნებული ამ ვალდებულების სერიოზულობა. კომუნისტის სიტყვა მტკიცე სიტყვაა. რაკი დაპირება მიცემულია, ის უნდა შესრულდეს.

ე. მამალაძე,
ს. მუმლაძე.

ზრაქჯორების საზამთრო რემონტი

5 იანვრისათვის საქართველოს მტს-ებში ტრაქტორების საზამთრო რემონტის წლიური გეგმა შესრულებულია 50,4 პროცენტით.

თბილისის ოლქში ტრაქტორების რემონტის გეგმა შესრულებულია 47,3 პროცენტით, ქუთაისის ოლქში — 68,4, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 66,4, აჭარის — 50,0, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 21,1, საქართველოს მეცხოველეობის სამანქანო სადგურში — 38,9 პროცენტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა უზრუნველყონ ამხანაგ სტალინის ნაშრომის, პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა გულმოდგინე შესწავლა

★ ★

პირველი ნაბიჯები

პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებების, ამხანაგ ი. ბ. სტალინის ნაშრომის შესწავლისა და პროპაგანდის ფართოდ ძოწყობა, ამ ისტორიული დოკუმენტების ღრმა ცოდნით თვითეული მშრომელის შეიარაღება — ასეთი ამოცანა დგას ამჟამად პარტიული ორგანიზაციების წინაშე.

პარტიის თბილისის ორგანიზაციის გარეუბნის რაიონულმა კომიტეტმა უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გააძლიერა ხელმძღვანელობა პარტიული განათლების ქსელისადმი, მშრომელთა კომუნისტური აღზრდისა და მარქსისტული იდეებით მათი შეიარაღებისადმი. ამას წინათ ჩატარებულმა რაიკომის პლენუმმა დასახა ღონისძიებანი პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა და ამხანაგ სტალინის ნაშრომის შესწავლისა და პროპაგანდის დაყენების გაუმჯობესებისათვის.

ამჟამად რაიონში პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევა 700-მდე პროპაგანდისტი და აგიტატორი. ისინი კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში სისტემატურად მართავენ მოხსენებებსა და საუბრებს პარტიის XIX ყრილობის მასალების გარშემო.

რაისაბჭოს აღმასკომის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განყოფილება დიდ ყურადღებას აქცევს პარტიის XIX ყრილობის მასალების ფართო პროპაგანდას მშრომელ მოსახლეობაში. სასოფლო კლუბებსა და ბიბლიოთეკებში სისტემატურად იმართება ლექციები, მოხსენებები და საუბრები პარტიის XIX ყრილობის შედეგებზე, მოწყობილია ყრილობის მასალებისადმი მიძღვნილი გამოფენები.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ყრილობის მასალებისა და ამხანაგ სტალინის გენიალური ნაშრომის შესწავლას პარტიული განათლების ქსელში. ამ მხრივ ნაყოფიერ მუშაობას ეწევა 75 წრე და პოლიტსკოლა, რომლებშიც გაერთიანებულია 900-ზე მეტი კომუნისტი და უპარტიო აქტივისტი. თვითგანათლებაზე მომუშავე კომუნისტთა დიდი ნაწილი შეუდგა ამხანაგ ი. ბ. სტალინის ნაწარმოების დამოუკიდებლად შესწავლას. მათ დასახმარებლად შერჩეული და გამოყოფილი არიან კვალიფიციური კონსულტანტები. 27 დეკემბერს კონსულტანტთა სემინარზე განხილულ იქნა მეთოდური საკითხები.

გასული წლის დეკემბერში რაიკომთან შეიქმნა პარტიული და საბჭოთა აქტივის მუდმივმოქმედი სემინარი, რომელშიც ჩაბმულია 27 კაცი. მეცადინეობა იმართება თვეში ორჯერ ცალკეულ საკითხებზე რეფერატების მომზადების წესით. 30 დეკემბერს სემინარის მორიგი მეცადინეობა მოეწყო თემაზე — „ამხანაგ ი. ბ. სტალინის წიგნი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ — უდიდესი განძია მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიაში“. მეორე მეცადინეობაზე, რომელიც მიმდინარე წლის 15 იანვარს გაიმართება, რეფერატს თემაზე — „ი. ბ. სტალინი ეკონომიკური განვითარების კანონების შესახებ“ — წაიკითხავს რაიკომის პირველი მდივანი ამხ. დ. გელაშვილი.

პარტიის XIX ყრილობის მასალების, ამხანაგ სტალინის ნაწარმოების შესწავლას კარგად ხელმძღვანელობენ სოფელ სოღანლუღის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის, სოფელ დიღმის კოლმეურნეობის და სამგორწყალმშენის მე-4 უბნის პირველადი პარტიული ორგანიზაციები, სადაც მდივნებად არიან ამხ. პ. ეფრემიძე, ა. გეგელიშვილი, ი. კაპანაძე. აღნიშნულ პარტიულ ორგანიზაციებში უკანასკნელ დროს მნიშვნელოვნად ამაღლდა პროპაგანდისტული მუშაობის დონე, კომუნისტები გულდასმით სწავლობენ ამხანაგ სტალინის გენიალურ ნაშრომს და ყრილობის მასალებს.

პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, ამხანაგ სტალინის ნაშრომის შესწავლისა და პროპაგანდის საქმეში გარეუბნის რაიონულ კომიტეტს სერიოზული ნაკლოვანებანიც აქვს. უპირველეს ყოვლისა ეს იგრძობა ლექციური პროპაგანდის დარგში. ცუდად მუშაობს რაიკომთან არსებული ლექტორთა ჯგუფი. დეკემბერში ამ ჯგუფს არც ერთი ლექცია და მოხსენება არ წაუკითხავს XIX ყრილობის შედეგებსა და სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემების საკითხებზე. ზოგიერთი პროპაგანდისტი თავს არიდებს სემინარის მუშაობაში მონაწილეობას. მაგალითად, პროპაგანდისტებმა გ. მორჩილაძემ და ა. ხუციშვილმა 27 დეკემბერს უმიზეზოდ გააცდინეს სემინარის მეცადინეობა.

უკეთ მოვაწყოთ და უფრო ფართოდ გავშალოთ მუშაობა ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალური ნაწარმოების „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, პარტიის XIX ყრილობის მასალებისა და გადაწყვეტილებების ღრმად შესწავლისა და პროპაგანდისათვის — ასეთია ამოცანა.

შ. ცანავა.

◁ ○ ○ ▷

საჭიროა ისე მოვაწყოთ საქმე, რომ მშრომელებმა და უწინარეს ყოვლისა კომუნისტებმა ღრმად შეისწავლონ ამხანაგ სტალინის კლასიკური შრომა «სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში», ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის ბრძნული სიტყვა ყრილობის დასკვნითს სხდომაზე.

მხოლოდ ამ საფუძველზე შეძლებენ პარტიული ორგანიზაციები დარაზმონ ყველა კომუნისტი, ყველა მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები პარტიის XIX ყრილობის მიერ, ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის მიერ დასახულ ამოცანათა შესრულებისათვის საბრძოლველად.

ა. ი. მგელაძე.

◁ ○ ○ ▷

ი. ბ. სტალინის შრომისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მოეწყო სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ამხანაგ სტალინის შრომისადმი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

სესიაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები: „ი. ბ. სტალინი ეკონომიკური კანონების ხასიათის შესახებ სოციალიზმის დროს“ (მომხსენებელი ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ჩხაიძე), „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის საკითხები ი. ბ. სტალინის ნაწარმოებში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ (მომხსენებელი უფროსი მასწავლებელი რ. ჯინჯოლია), „ი. ბ. სტალინი თანამედროვე კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონების შესახებ“ (მომხსენებელი ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ბენიძე), „მეცნიერული კომუნიზმის თეორიის განვითარება ი. ბ. სტალინის ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ (მომხსენებელი ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ჩხეიძე).

პარტიული და საბჭოთა აქტივის სწავლება

ცხაკაია. (საკ. კორ.). რაიონის პარტიული და საბჭოთა აქტივის სემინარის მსმენელებმა დაიწყეს ამხანაგ სტალინის გენიალური ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ შესწავლა. უკანასკნელი მეცადინეობა მოეწყო თემაზე: „საქონლო წარმოების საკითხი სოციალიზმის დროს“.

რაიონულმა კომიტეტმა შეიმუშავა ლექციების ციკლი შემდეგ თემებზე: „ეკონომიკური კანონების ხასიათის საკითხი სოციალიზმის დროს“, „საქონლო წარმოების და ღირებულების კანონის საკითხი სოციალიზმის დროს“, „სოციალიზმის და თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონები“, „საკოლმეურნეო საკუთრების საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე აყვანის შესახებ“ და სხვ. ლექციების წაკითხვა მიენდობილი აქვთ კვალიფიციურ ლექტორებს.

რაიონის საწარმოებსა და დაწესებულებებში ამხანაგ სტალინის შრომისადმი მიძღვნილი ლექციები წაიკითხეს რაიკომის ლექტორებმა ნ. კაკაშვილმა, გ. ურიდიამ, ვ. ცისკარავამ და სხვებმა. ქალაქის ინტელიგენციისათვის უკვე წაკითხულია 3 ლექცია. ამხანაგ სტალინის ნაშრომს სწავლობენ აგრეთვე პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი წრეების მსმენელები და წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგები.

★ ★

კადრების იდეოლოგიურ აღზრდას მეტი ყურადღება

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჩატარდა საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მორიგი პლენუმი, რომელმაც განიხილა პარტიული განათლების ქსელში სწავლების მიმდინარეობის საკითხი.

პარტიული განათლების ყველა ფორმაში ჩაბმულია 2.265 კაცი. პროპაგანდისტები ა. მაჭარაშვილი, რ. ფერაძე, კ. გაფრინდაშვილი, შ. ბიჭაშვილი და სხვები მაღალ იდეურ დონეზე ატარებენ მეცადინეობას, ისინი მეცადინეობისათვის წინასწარ გულდასმით ემზადებიან, რეგულარულად ესწრებიან სემინარებს, ადგენენ კონსპექტებს.

კომუნისტები განსაკუთრებული გულმოდგინებით შეუდგნენ ი. ბ. სტალინის კლასიკური ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ და პარტიის XIX ყრილობის მასალების შესწავლას.

მაგრამ კადრების იდეოლოგიური აღზრდის, მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები არის. მაგალითად, პროპაგანდისტმა თ. ჩუბინიძემ (ცაგანოვიჩის სახელობის მაღარო) ერთ-ერთ მეცადინეობაზე ახალი მასალა 13 წუთში გადასცა. პროპაგანდისტი ე. დუგლაძე (ორჯონიკიძის სახელობის მაღარო) სუსტად ემზადება მეცადინეობისათვის და ამის გამო გადასაცემი მასალის მხოლოდ წაკითხვით კმაყოფილდება. მეცადინეობას დაბალ იდეურ დონეზე ატარებენ აგრეთვე პროპაგანდისტები თ. ზურაბიშვილი (მთავარი ელექტრომექანიკური სახელოსნო), უ. კუპატაძე და სხვები.

სერიოზული ნაკლოვანებებია სტალინის სახელობის მაღაროსთან, საავადმყოფო-პოლიკლინიკასთან და ქალაქკომთან არსებული სემინარების, აგრეთვე საღამოს ორწლიანი პარტიული სკოლის მუშაობაში. სტალინის სახელობის მაღაროს აქტივის მუდმივმოქმედ სემინარში (ხელმძღვანელი ინჟ. ლ. გოშხოთელიანი) ორ თვეში მხოლოდ ერთი მეცადინეობა მოეწყო.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა კომკავშირელთა პოლიტიკური სწავლების საქმეში. იმის გამო, რომ კომკავშირული პოლიტიკური განათლების ქსელი არასწორად დააკომპლექტეს, ბერიას სახელობისა და ლენინის სახელობის მაღაროების კომკავშირულ ორგანიზაციებთან არსებულ პოლიტსკოლებსა და წრეებში ხშირად იშლება მეცადინეობა.

მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შესწავლაშიც არ არის ყველაფერი რიგზე. ამ მხრივ ნაკლოვანებები განსაკუთრებით საგრძნობია ჭიათურმშენის, რკინიგზის კვანძისა და სხვა პარტიულ ორგანიზაციებში.

კადრების იდეოლოგიური აღზრდის, მათი მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების გადაჭრით გაუმჯობესების მიზნით პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.

რაიკომის შტატგარეშე ლექტორები

ლენინგორი. (საკ. კორ.). პარტიას XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდაში, ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალური ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ სწავლების ორგანიზაციაში პარტიის რაიკომს მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ შტატგარეშე ლექტორები, მომხსენებლები.

ლექტორმა ა. გედევანიშვილმა პარტიული აქტივისათვის, აგრეთვე ლენინგორისა და წირქოლის კოლმეურნეობათა წევრებისათვის წაიკითხა ლექცია თემაზე „ამხანაგი სტალინი სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პირობებისა და გზების შესახებ“.

ი. ბ. სტალინის ახალ გენიალურ ნაშრომს მიუძღვნა ლექცია რაიკომის შტატგარეშე ლექტორმა ო. ჩიბირაშვილმა. ლექტორმა ა. მარგიევმა წაიკითხა ლექცია თემაზე: „ლენინ — სტალინის პარტია საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა“. ნაგომეველმა კოლმეურნეებმა ინტერესით მოისმინეს შტატგარეშე ლექტორის ქეთევან თიგიშვილის ლექცია „საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის განვითარება ახალ ხუთწლედში“.

ნაყოფიერად მუშაობენ აგრეთვე რაიკომის მომხსენებლები: ს. არბოლიშვილი, მ. სტეფანოვი, ი. თიგიევი და სხვები.

სსრ კავშირის რკინიგზის ტრანსპორტი მეხუთე ხუთწლედში

⊙

აგიტატორის დასახმარებლად

⊙

საბჭოთა რკინიგზის ტრანსპორტის მძლავრი ტექნიკური აღჭურვილობა და მუშაობის მიღწეული ხარისხობრივი მაჩვენებლები სოციალისტური წყობილების, ჩვენი სახალხო მეურნეობის გეგმიანი სისტემის უპირატესობათა შედეგია.

სსრ კავშირში სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდა ავალებს რკინიგზელებს წლითიწლობით გაადიდონ ტვირთზიდვის ოდენობა და დაიჭარონ მისი ტემპი. კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დირექტივები მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებენ 1955 წელს რკინიგზების ტვირთბრუნვის 35-40 პროცენტით გადიდებას 1950 წელთან შედარებით. ამასთან განსაკუთრებით ძლიერ გადიდდება ინდუსტრიული ტვირთების — ქვანახშირის, ნავთობის, ფოლადის, თუჯის, მადნის, აგრეთვე მანქანების, ჩარხებისა და სხვა მოწყობილობის, ხე-ტყისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადაზიდვა.

მიმდინარე ხუთწლედში დამთავრდება სამხრეთ ციმბირის მაგისტრალის გაყვანა ბაკანიდან აკმოლინსკამდე. ამ რკინიგზით არტიშტა-ალტაისკაია-კულუნდა-აკმოლინსკის უბნებზე იწყება ციმბირის მეორე განედური ხაზი. ამ გზით წამოვა კუზნეცკის ქვანახშირი სამხრეთ ურალის რაიონებისათვის და ხე-ტყე ტომსკის ოლქიდან და კრასნოიარსკის მხარიდან შუა აზიაში. ახალი მაგისტრალი გადასერავს ალტაის მხარისა და ყაზახეთის პავლოდარის ოლქის უმდიდრეს სასოფლო-სამეურნეო რაიონებს, უშუალოდ ახლო გამოუვლის ეკიბასტუსის ქვანახშირის ბუდობს, სტალინსკ-ახაკენის უბანი ერთმანეთს დაუკავშირებს რკინის მადნისა და ქვანახშირის ახალ საბადოებს და სტალინის სახელობის კუზნეცკის მეტალურგიულ კომბინატს.

ჩარჯოუ-კუნგრადის რკინიგზის ხაზის აგება, რომელიც ჩარჯოუ-კუნგრად-მაკატის მომავალი მაგისტრალის სათაეო უბანია, წყვეტს ხვარაზმის მეგამბეობის უმდიდრესი რაიონის სატრანსპორტო კავშირის და თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობისათვის ტვირთზიდვის პრობლემას. კუნგრად-ძაკატის და გურიევ-ასტრახანის ახალი რკინიგზების გაყვანა ჩარჯოუ-კუნგრადის ხაზთან ერთად მეორე სარკინიგზო კავშირი იქნება ჩვენი ქვეყნის ცენტრსა და შუა აზიის უაღრესად დაშორებულ რაიონებს შორის.

რკინიგზის ტრანსპორტის დარგში უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მაგისტრალების გამტარუნარიანობის გადიდება. ამ მიზნით გაჩაღდება მეორე ლიანდაგების მშენებლობა და რკინიგზების ელექტროფიკაცია. განვლილ ხუთწლედთან შედარებით ახალ ხუთწლედში დასახულია ამუშავდეს ოთხჯერ მეტი ელექტროფიცირებული ხაზი და გადიდდეს მეორე ლიანდაგების საექსპლოატაციოდ გადაცემა დაახლოებით 60 პროცენტით.

კუიბიშევისა და კამის ჰიდროელექტროსადგურების ამუშავება შესაძლებლობას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავფართოოთ ვოლგის რაიონის რკინიგზის ხაზების ელექტროფიკაცია.

ჩვენი ქვეყნის გზებზე დიდად განვითარდება თბომავლის წევა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილია და ეკონომიკურად სარფიანი. მეხუთე ხუთწლედში დასახულია შეიქმნას 4.000 ცხენის ძალის სიმძლავრის თბომავლები.

ახალ ხუთწლედში ამაღლდება შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისა და წარმოების პროცესების ავტომატიზაციის დონე. გადიდდება დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის მოცულობა. ძირითადად დამთავრდება მთელი სავაგონო პარკის გადაყვანა ავტოგადაბმაზე.

მეხუთე ხუთწლედში უდიდესი მოცულობის ტვირთზიდვის შესრულების გადამწყვეტი პირობაა მოძრავი შემადგენლობის გამოყენების გაუმჯობესება. რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის ძირითადი მაჩვენებლებია ვაგონის ბრუნვა და ორთქმავლის საშუალო სადღეღამისო გარბენა. 1955 წელს ვაგონების ბრუნვის დრო უნდა შემცირდეს სულ ცოტა 18 პროცენტით 1950 წელთან შედარებით, ხოლო ორთქმავალთა საშუალო სადღეღამისო გარბენა გადიდდეს სულ ცოტა 12 პროცენტით. ახალ ხუთწლიან გეგმაში დასახული ამოცანის მთელი მნიშვნელობა რომ შევაფასოთ, საკმარისია ითქვას, რომ ვაგონის ბრუნვის მხოლოდ ერთი საათით დაჩქარება, სავაგონო პარკის არსებული ოდენობის პირობებში, შესაძლებლობას მოგვცემს დამატებით დავტვირთოთ დღეღამეში 900 ვაგონი, ხოლო წლის განმავლობაში 60 მილიონი მანეთი დავუზოგოთ ჩვენს ქვეყანას.

ვაგონების ბრუნვის დაჩქარება შეიძლება უზრუნველვყოთ უწინარეს ყოვლისა სატვირთო და ტექნიკური ოპერაციების დროს მათი მოცდენის შემცირებით. ამისათვის საჭიროა სადგურებისა და სამრეწველო საწარმოთა მისასვლელი გზების მუშაობის ტექნოლოგიური პროცესების შემდგომი გაუმჯობესება, დამახარისებელი გორაკების მექანიზაცია, ისრების ცენტრალიზაცია, სამანევრო მუშაობის მართვაში რადიოკავშირგაბმულობის დანერგვა. მთავარი ამოცანა კი ის არის, რომ მოვახდინოთ ტრანსპორტის დიდი შინარეზერვების მობილიზაცია, გავაუმჯობესოთ გზების საექსპლოატაციო მუშაობის ხარისხი, გავაძლიეროთ დისციპლინა და შეთანხმებულობა მათს ცალკეულ რგოლებში.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ პარტიის XIX ყრილობისადმი საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა გ. მ. მალენკოვმა აღნიშნა: სახელმწიფო გეგმების შეუსრულებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ საწარმოები უთანაბრად უშვებენ პროდუქციას, მიმართავენ ანტისახელმწიფოებრივ პრაქტიკას — გეგმის გადამეტებით უშვებენ მეორეხარისხოვან ნაწარმს, სამაგიეროდ არ ასრულებენ პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობათა წარმოების დავალებებს, აგრეთვე ის, რომ ცუდად მომუშავე საწარმოთა დავალებებს გადაკისრებენ ხოლმე მოწინავე საწარმოებს. ეს მითითება საგანგებით შეეხება ბევრ რკინიგზას, სამრეწველო საწარმოს და რკინიგზის ტრანსპორტის მშენებლობებს.

ახლა რკინიგზელთა მთავარი ამოცანაა აღმოფხვრან ეს ნაკლოვანებანი, იბრძოლონ ყველა რეზერვის გამოყენებისათვის, რათა შეამცირონ მოძრავი შემადგენლობის მოცდენა, იბრძოლონ ტრანსპორტის ტექნიკურ საშუალებათა მაღალნაყოფიერი გამოყენებისათვის.

განსაკუთრებით დიდია სამრეწველო საწარმოთა მისასვლელ გზებზე დატვირთვის ოპერაციების დროს ვაგონების მოცდენის შემცირების რეზერვები. ვაგონების ბრუნვის დროის შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა აგრეთვე ტვირთების არარაციონალური და ზედმეტად შორ მანძილზე გადაზიდვის ლიკვიდაცია.

ვაგონის ბრუნვის დაჩქარებისათვის ბრძოლა საერთოსახელმწიფოებრივი ამოცანაა და ეს ბრძოლა უნდა წარმოებდეს არა მარტო რკინიგზის ტრანსპორტზე, არამედ სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგშიც.

პარტიის XIX ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია გაუმჯობესდეს სამრეწველო საწარმოთა მშენებლობის გეოგრაფიული განლაგება, კიდევ უფრო მიუახლოვდეს მრეწველობა ნედლეულისა და სათბობის წყაროებს, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ტვირთების ზედმეტად შორ მანძილზე და სხვა არარაციონალური გადაზიდვის ლიკვიდაციას.

ტრანსპორტის წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებაში განსაკუთრებით დიდი როლი ენიჭება სტახანოველებს, წარმოების ნოვატორებს. დიდად გაფართოვდა სტახანოვური მოძრაობა რკინიგზებზე. ამასთან ტრანსპორტის რეზერვების მობილიზაციაში და მის ტექნიკურ საშუალებათა მაღალნაყოფიერ გამოყენებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხუთასოვან მემანქანეთა მოძრაობას. ახლა ათასობით ბრიგადა სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს ლოკომოტივების ბრუნვის შემჭიდროებული გრაფიკის ნორმებს.

ხუთასოვან მემანქანეთა მოძრაობა მოასწავებს რკინიგზელთა სოციალისტური შეჯიბრების ახალ უმაღლეს ეტაპს და წარმოადგენს ტრანსპორტის შემდგომი აღმავლობის მძლავრ საშუალებას.

რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების საქმეში ძვირფასი წვლილია გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა წინადადებანი. 1951 წელს რკინიგზის ტრანსპორტზე შემოვიდა 80 ათასამდე გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება. აქედან ნახევარზე მეტი უკვე დაინერგა წარმოებაში. მათი რეალიზაციით დაზოგილია 135 მილიონ მანეთზე მეტი.

რკინიგზების მუშაობის გაუმჯობესებას ხელს უწყობს ტრანსპორტის მეცნიერთა და წარმოების მუშაკთა თანამშრომლობა. ინსტიტუტების მეცნიერთა, მეცნიერ მუშაკთა, საწარმოების ინჟინერთა, ტექნიკოსთა და სტახანოველთა შემოქმედებითმა თანამშრომლობამ ხელი შეუწყო ისეთი რთული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას, როგორიც არის ახალი ლოკომოტივების, ვაგონების, სალიანდაგო და სატვირთავი მანქანებისა და მექანიზმების, კავშირგაბმულობის მოწყობილობის შექმნა, ხელი შეუწყო მთელ რიგ გაუმჯობესებათა შეტანას რკინიგზების საექსპლოატაციო მუშაობაში.

რკინიგზელთა რიგებს განუწყვეტლივ ემატება ტექნიკური ინტელიგენციისა და წამყვანი პროფესიების კვალიფიციურ მუშაკთა ახალი კადრები. უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტების რაოდენობა 1946-დან 1951 წლამდე 69 პროცენტით გადიდდა. ტექნიკურ სკოლებში მოამზადებულია 327 ათასზე მეტი ლოკომოტივის მემანქანე, მათი თანაშემწე, დისპეტჩერი და სხვა მუშაკი. ყოველწლიურად 500 ათასზე მეტი რკინიგზელი იმაღლებს კვალიფიკაციას კურსებზე და სტახანოვურ სკოლებში. ბევრი მათგანი საშუალო და უმაღლეს განათლებას იღებს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ. რკინიგზის ტრანსპორტზე არის საწარმოები, რომლებიც თავისებური სასწავლო კომბინატები გახდნენ.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა განუწყვეტლივ ზრუნავენ რკინიგზელების შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

რკინიგზელთა რეალური ხელფასი 1940 წელთან შედარებით ერთიოორად გადიდდა. ტრანსპორტის წამყვანი პროფესიების მუშაკებს და უფროსთა შემადგენლობას დაუწესეს დანამატი ნამსახურობისათვის და გადიდებული საპენსიო უზრუნველყოფა.

ომისშემდგომი პირველი ხუთწლედის მანძილზე რკინიგზელებმა სამ მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი მიიღეს. წლითიწლობით მატულობს ახალი სკოლების, კლუბების, სანატორიუმების, საავადმყოფოების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების რიცხვი, რომლებიც ტრანსპორტის მუშაკებს ემსახურებიან.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების გრანდიოზული პერსპექტივები ბევრ რამეს აკისრებს რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებს. საბჭოთა რკინიგზელები ჩვენი ქვეყნის მრეწველობის ყველა დარგის მუშაკებთან ერთად მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმის დავალებებს.

ნ. გუნდობინი,

სსრ კავშირის გზათა მინისტრის მოადგილე.

საბჭოთა სკოლა ახალი ამოცანების წინაშე

ამ დღეებში თბილისის სახალხო განათლების მუშაკმა თავი მოიყარეს ... ებაზე, რომელმაც იმსჯელა ქალაქის განათლების მუშაკთა ამოცანებზე საბ... თა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. შ. თათარაშვილმა.

— ჩვენი პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებები, — ამბობს მომხსენებელი, — ამხანაგ სტალინის ბრძნული სიტყვა ყრილობის დასკვნითს სხდომაზე და სტალინის გენიალური შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, რომელიც ყრილობის წინ გამოქვეყნდა, საბჭოთა ხალხს რაზმავს ახალი გამარჯვებების მოსაპოვებლად სამეურნეო და კულტურულ ფრონტზე, კომუნიზმის წარმატებითი მშენებლობისათვის.

სკოლა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უდმივი ზრუნვის საგანია. სახალხო განათლების საქმეზე ყოველწლიურად ათეული მილიარდი მანეთი იხარჯება.

XIX ყრილობის დირექტივები ითვალისწინებს 1955 წლისათვის დამთავრდეს რვაწლიანი განათლებიდან საყოველთაო სავალდებულო განათლებაზე გადასვლა მსხვილ ქალაქებსა და უდიდეს სამრეწველო ცენტრებში, ხოლო სოფლად — მომზადდეს პირობები ამ ღონისძიების განხორციელებისათვის შემდგომ ხუთწლედში.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელიც საბჭოთა სკოლამ უნდა გადაჭრას, ეს არის პოლიტექნიკური სწავლების განხორციელება საშუალო სკოლაში და ღონისძიებათა მიღება საყოველთაო პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასასვლელად. ყოველივე ეს უზრუნველყოფს საშუალო სკოლადამთავრებული მოსწავლეებისათვის პროფესიების არჩევის თავისუფალ პირობებს.

მიუხედავად იმისა, რომ ყრილობის შემდეგ საკმაო დრო გავიდა, განათლების ორგანოებსა და გაზეთ „სახალხო განათლებას“ ჯერ პრაქტიკული ნაბიჯები არ გადაუდგამთ პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასვლისათვის სკოლების მოსამზადებლად. ამ საქმეში არც სკოლები იჩენენ ინიციატივას. ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის დაყენებული სასკოლო ასაკის ბავშვების აღრიცხვა.

ამხ. თათარაშვილი დაწვრილებით ჩერდება იმ ღონისძიებებზე, რომელთა განხორციელება მოამზადებდა პირობებს პოლიტექნიკური სწავლებისათვის. ეს არის პროგრამების გადასინჯვა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, საწარმოებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან სკოლების მჭიდრო კავშირის დამყარება, მოსწავლეების ფართოდ ჩაბმა ტექნიკურ და საგნობრივ წრეებში, მათთვის ტექნიკური ფილმების ჩვენება და სხვ. ამ მიმართულებით დიდი მუშაობა მართებთ ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს, ბავშვთა ტექნიკურ სადგურებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის უხეიერო მუშაობამ სერიოზული ზიანი დაასვა განათლების საქმეს. სამწუხაროდ, ნაკლოვანებები ჯერ კიდევ მთლიანად არ არის აღმოფხვრილი. ბევრ სკოლაში ცუდად არის დაყენებული სწავლება, მაღალია ორწლიანობის პროცენტი, დაბალია დისციპლინა, ხშირია გაცდენები. ქალთა მე-15 სკოლაში 805 მოსწავლიდან ჩამორჩენილია 222 მოსწავლე. მიმდინარე სასწავლო წლის პირველ მეოთხედში ქალაქის სკოლებში უმიზეზოდ გაცდენილია 153 ათასი საათი.

მოხსენებაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ენის შესახებ ამხანაგ სტალინის მოძღვრების საფუძველზე სკოლებში ენისა და მშობლიური ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის ანალიზს, საერთოდ სწავლების ხარისხის გაუმჯობესების, ორწლიანობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს.

ამხ. თათარაშვილი აკრიტიკებს ქალაქის განათლების განყოფილების მუშაკებს სკოლებისადმი არაოპერატული ხელმძღვანელობისათვის.

პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი დ. ლორთქიფანიძე ლაპარაკობს პოლიტექნიკური სწავლების შემოღებისა და ამასთან დაკავშირებით მასწავლებლებთან მუშაობის საკითხებზე. მან აღიარა, რომ პროგრამების გადასასინჯავად ინსტიტუტში აქამდე არაფერი გაკეთებულა. ამხ. ლორთქიფანიძე მოითხოვს, რომ გატარდეს ღონისძიებები მასწავლებლების მოსამზადებლად პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასასვლელად, შეტანილ იქნას სათანადო ცვლილებები უმაღლესი და პედაგოგიური სასწავლებლების სასწავლო პროგრამებშიც.

ქალაქის სკოლებს ემსახურება ბავშვთა აგრობიოლოგიური სადგური, მაგრამ მისი საქმიანობა სრულებით ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს, რომლებსაც მას უყენებს ახალი ამოცანები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ნ. კეცხოველი აყენებს საკითხს აგრობიოლოგიური სადგურის საქმიანობის მკვეთრი გარდაქმნის შესახებ. ამხ. კეცხოველი დაწვრილებით შეეხო უნივერსიტეტსა და სკოლებს შორის კავშირის და გააკრიტიკა ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელნი, რომელნიც არ ცდილობენ გამოიყენონ უნივერსიტეტის მდიდარი შესაძლებლობანი მოსწავლეთა პოლიტექნიკური აღზრდისათვის.

სტალინის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ამხ. უ. მეტრეველი აღნიშნავს, რომ ცალკეულ სახელმძღვანელოებში დაშვებულია შეცდომები, კერძოდ, მან დაასახელა ქართული ლიტერატურის ქრესტომათიები.

პარტიის 26 კომისრის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. გოშაძემ მკაცრად გააკრიტიკა საქართველოს დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი და განათლების სამინისტრო უღირსი პედაგოგებისადმი ლიბერალური დამოკიდებულებისათვის.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ამხ. ვ. კუპრაძე დეტალურად შეჩერდა პოლიტექნიკური სწავლების ძირითად პრინციპებზე.

კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ერთსულოვნად იწონებს პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს და იღებს მათ სახელმძღვანელოდ.

კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით, ტაშის გრიალში მისალმება გაუგზავნეს ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს.

კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ცხოვრებაშვილმა და პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ბალავაძემ.

თბილისის სახალხო განათლების მუშაკთა საძალაძო კრებაზე

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

ულან-ბატორი, 7 იანვარი. (საკდესი). მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება მონღოლი ხალხის ბელადის მარშალ ჩოიბალსანის გარდაცვალების პირველი წლისთავის მოწყობის შესახებ. სომონისა და ბაგის საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებსა და არმიის ნაწილებში დასახულია მოეწყოს მოსსენებები და საუბრები ჩოიბალსანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ულან-ბატორსა და ამიკის ცენტრებში გაიმართება სამგლოვიარო სხდომები. 26 იანვარს ულან-ბატორში თავისუფალი ნახვისათვის გიხსნება მარშალ ჩოიბალსანის აკლდამა და სახლი-მუზეუმი.

საილენძის მაღაროების მუშათა გაფიცვა ჩილეში

ნიუ-იორკი, 6 იანვარი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი სანტიაგოდან (ჩილე) იუწყება, საილენძის მაღაროების მუშათა გაფიცვა მესამე კვირაა გრძელდება. გაფიცულები მოითხოვენ ხელფასის გაზრდას და შრომის პირობების გაუმჯობესებას.

ბრაზილიორდანიის მუშების გაფიცვა

ბეირუთი, 6 იანვარი. (საკდესი). ბეირუთის რადიოს ცნობით, 5 იანვარს ამ სამშენებლო კომპანიის მუშებმა, რომელიც ამანის სამხედრო აეროდრომის გაფართოებას სამუშაოებს ასრულებს, გაფიცვა გამოაცხადეს.

მუშები მოითხოვენ ხელფასის მომატებას და სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირებას.

ამერიკული კულტურის დაცემა

ნიუ-იორკი, 6 იანვარი. (საკდესი). ყოველთვიურ ჟურნალ „ეკუიტში“, რომელსაც მსახიობთა პროფკავშირი სცემს, გამოქვეყნებულია ალექს რ. ბარონის სტატია. ეს სტატია მოწმობს, რომ ამერიკელ მსახიობებში იზრდება უმუშევრობა და მცირდება მათი შემოსავალი.

პროფკავშირის 6 ათასი წევრიდან, წერს ავტორი, ყოველ 6 მსახიობში მხოლოდ ერთს ჰქონდა სამუშაო ექვსი თვის განმავლობაში. პროფკავშირის ყველა წევრთაგან წლის განმავლობაში საშუალოდ სამუშაო არა ჰქონდა მსახიობთა 84 პროცენტს.

პროფკავშირის წევრ იმ მსახიობთა მეოთხედი, რომლებსაც ჰქონდათ სამუშაო, წელიწადში იღებდა 335 დოლარზე ნაკლებს. სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ რიგიანი არსებობისათვის მსახიობი წელიწადში უნდა იღებდეს სულ ცოტა 3,5 ათას დოლარს. ასეთი შემოსავალი ჰქონდა მსახიობთა მხოლოდ 18,3 პროცენტს.

თეატრების საავალო მდგომარეობა, ნათქვამია სტატიაში, იმის მაჩვენებელია, თუ რა „დონეზეა ეროვნული კულტურა“ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ჩინეთში საფინანსო-ეკონომიკურ დარგებში შეიქმნა კონტროლის განყოფილებანი

პეკინი, 6 იანვარი. (საკდესი). გაზეთი „ჟენმინიბაო“ დღეს აქვეყნებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს დადგენილებას იმის შესახებ, რომ საქალაქო, პროვინციულ და სხვა მთავრობათა საფინანსო-ეკონომიკურ ორგანოებთან შეიქმნას კონტროლის განყოფილებები. გაზეთი აგრეთვე აქვეყნებს საკონტროლო ორგანოების მოწყობის დროებითს ორგანიზაციულ წესებს და პრინციპებს.

დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ყველა საფინანსო-ეკონომიკურ ორგანოში კონტროლის სისტემის შექმნა გამოწვეულია იმით, რომ საჭიროა განმტკიცდეს კორუპციის, მფლანგველობისა და განსაკუთრებით ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ მოძრაობის შედეგები, აგრეთვე იმით, რომ დაკმაყოფილებულ იქნას ფართო ეკონომიკური მშენებლობის მოთხოვნები.

სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს ამ დადგენილებისადმი მიძღვნილ სტატიაში გაზეთი „ჟენმინიბაო“ წერს: საფინანსო-ეკონომიკური ორგანოების მუშაობისადმი კონტროლის დაწესებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამჟამად, როცა ჩინეთი შეუდგა ფართო ეკონომიკურ მშენებლობას. წარმატებითი ეკონომიკური მშენებლობის უზრუნველსაყოფად საჭიროა თავის დროზე გამოვავლინოთ და აღმოვფხვრათ შეცდომები და ნაკლოვანებანი მუშაობაში. ამიტომ, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, ჩვენი ამოცანაა ამ კონტროლში ჩავაბათ მშრომელთა ფართო მასები, დავძლიოთ ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკის მოუქნელი დამოკიდებულება შესრულების შემოწმებისადმი.

უმუშევრობისა და სიღატაკის წინააღმდეგ!

ავსტრიის უმუშევართა კონფერენციის მოწვევისათვის

ვენა, 6 იანვარი. (საკდესი). ავსტრიის უმუშევართა ცენტრალურმა კომიტეტმა ავსტრიის ყველა უმუშევარს მიმართა მოწოდებით —1953 წლის 25 იანვარს ვენაში მოიწვიონ უმუშევართა სრულიად ავსტრიის კონფერენცია.

უმუშევრებო! კოლეგებო! — ნათქვამია მოწოდებაში. — ჩვენ, მუშები და მოსამსახურეები, მომავლის იმედითა და რწმენით აღსავსენი შეეფიცენით მუშაობას 1945 წელს. ჩვენ ავაღმოქმედეთ წარმოება იმ იმედით, რომ უზრუნველგვყოფ ჩვენი თავი და ჩვენი ოჯახი საარსებო საშუალებებით.

ახლა კი ჩვენ გამორეკილი ვართ წარმოებიდან. წაგვართვეს საარსებო საშუალებანი. ჩვენი მდგომარეობა სულ უფრო უიმედო ხდება.

უმუშევრობა კატასტროფულ ხასიათს იღებს. დეკემბრის შუა რიცხვებში ავსტრიაში აღრიცხული იყო უკვე 215 ათასი უმუშევარი. უმუშევრობა განუწყვეტლივ მატულობს.

ათეულ ათასობით უმუშევარი, უწინარეს ყოვლისა ქალები, აღრიცხული არ არის შრომის ბირჟაში, რადგან მათ დახმარებისა და სამუშაოს მიღების ყოველივე იმედი დაკარგეს. 60 ათას ახალგაზრდას არა აქვს არც სამუშაო, არც ადგილი სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში.

ნაცვლად იმ დაპირებისა, რომ ყველას ექნებოდა სამუშაო, მასობრივი უმუშევრობა ჩვეულებრივ მოვლენად გადაქცა. სამუშაოს შოვნის შესაძლებლობა სულ უფრო საეჭვო ხდება. არ შეიძლება კვლავ ასე გაგრძელდეს!

ჩვენ გვინდა სამუშაო. იმისათვის, რომ განვიხილოთ ღონისძიებანი, რომლების საშუალებით შესაძლებელი იქნება ჩვენი უზრუნველყოფა სამუშაოთი, უმუშევართა ცენტრალური კომიტეტი 25 იანვარს ვენაში იწვევს უმუშევართა სრულიად ავსტრიის კონფერენციას.

ამ კონფერენციაზე მიღებულ უნდა იქნას გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანი იქნება შრომის პროცესში ჩაგვაბას ჩვენ, უმუშევრები. ამ კონფერენციაზე უმუშევრები წამოაყენებენ აგრეთვე თავიანთ მოთხოვნებს მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით.

ბირმის მთავრობამ გადაწყვიტა შეწყვიტოს ინგლის-ბირმის სამხედრო შეთანხმების მოქმედება

ლონდონი, 6 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი რანგუნიდან იუწყება, ბირმის მთავრობამ ინგლისის მთავრობას აცნობა, რომ მას განზრახული აქვს შეწყვიტოს 1947 წელს ხელმოწერილი ინგლის-ბირმის სამხედრო შეთანხმების მოქმედება.

„დეილი ტორკერი“ ფიქრობს, რომ ბირმის მთავრობის ამ ნაბიჯის მიზანია „გზა გახსნას ამერიკის იარაღის შესასყიდად“. გაზეთი წერს, რომ 1947 წელს სამხედრო შეთანხმების ხელმოწერის მომენტიდან „ამერიკის გავლენა ბირმაში გაძლიერდა. ამერიკის სამხედრო მისიები უკვე არსებობენ მეზობელ ქვეყნებში — ინდო-ჩინეთსა და სიამში“.

ასევე განმარტავს ბირმის მთავრობის გადაწყვეტილებას „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის“ დიპლომატიური მიმოხილველი.

გაზეთი „ტაიმსი“ თურქეთის საგარეო ვაჭრობის კრიზისის შესახებ

ლონდონი, 7 იანვარი. (საკდესი). გაზეთ „ტაიმსის“ სტამბოლელი კორესპონდენტი იუწყება, თუ რა სიძნელეებს ხვდება თურქეთის საგარეო ვაჭრობა და რა უკმაყოფილებას იწვევს თურქეთში ის, რომ ინგლისი უარს აცხადებს იყიდოს თურქეთის საექსპორტო საქონელი.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ 1952 წლის პირველი ათი თვის განმავლობაში თურქეთის საგარეო ვაჭრობის დეფიციტი შეადგენდა 484 მილიონ თურქულ ლირას, ესე იგი ერთიორად და უფრო მეტად აღემატებოდა 1951 წლის იმავე პერიოდის დეფიციტს ოდენობას.

ორ ქვეყანას, რომლებიც გაუთვნიან იმ საბელმწიფოებს, რომელთაც თურქეთში შეაქთ მეტი, ვიდრე იქიდან გაიქვთ, წარმოადგენენ ინგლისი და დასავლეთი გერმანია. ინგლისმა თურქეთში შეიტანა 235 მილიონი თურქული ლირის საქონელი, ხოლო გაიტანა 47 მილიონი თურქული ლირის საქონელი. დასავლეთმა გერმანიამ თურქეთში შეიტანა 330 მილიონი თურქული ლირის საქონელი და გაიტანა 189 მილიონი თურქული ლირის საქონელი.

ამის შედეგად თურქეთს აქვს 233.900 ათასი დოლარის პასიური ბალანსი ევროპის საგადამხდელო კავშირთან ანგარიშსწორებით; დეფიციტის ნაწილი უნდა დაიფაროს თურქეთის ოქროს მარაგით.

როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, „თურქეთის პრესა მოითხოვს, რომ მთავრობამ ენერგიული ზომები მიიღოს, რათა აღმოფხვრას ეს არანორმალური მდგომარეობა, და სასტიკად აკრიტიკებს ისეთ ქვეყნებს, როგორიც არიან ინგლისი და დასავლეთი გერმანია, განსაკუთრებით პირველი, რომლებიც თავიანთ საკუთარ საქონელს თურქეთში ჰყიდიან უდიდესი როდენობით, ხოლო ამასთან არავითარ ღონისძიებას არ იღებენ თურქეთის საქონლის შესყიდვის უზრუნველსაყოფად“.

დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატი პოეტი

ნ. ა. ნეკრასოვის გარდაცვალების 75 წლისთავის გამო

სამოცდათხუთმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატი პოეტი ნიკოლოზ ნეკრასოვი. იგი ეკუთვნის იმ გამოჩენილ მწერალთა რიცხვს, რომელნიც უკვდავად რჩებიან ხალხის ხსოვნაში და მისი მხურვალე სიყვარულით სარგებლობენ.

ნიკოლოზ ნეკრასოვი დაიბადა ტიპიურ ფეოდალურ ოჯახში, მაგრამ იმის გამო, რომ ბავშვობიდანვე დაკავშირებული იყო ყმების ოჯახებთან, იზრდებოდა მათ ბავშვებთან ერთად და მუდამ თვალწინ ედგა გლეხის მძიმე შრომისა და აუტანელი ცხოვრების შემაძრწუნებელი სურათები, მასში ადრევე გაიღვიძა მშრომელთა სოციალური ჩაგვრისა და პოლიტიკური უუფლებობის სიძულვილის კეთილშობილურმა გრძნობამ. ნიკოლოზ ნეკრასოვმა თავიდანვე კავშირი გაწყვიტა თავის კლასთან და გლეხთა თავისუფლების, სამშობლოს ბედნიერი მომავლის მგზნებარე მომღერალი შეიქნა.

ნიკოლოზ ნეკრასოვის დამსახურება რუსული კულტურის წინაშე განუზომელია. მისი პოეზია ახალი საფეხური იყო რუსულ მწერლობაში, რომლის საუკეთესო წარმომადგენლებიც მუდამ კეთილმყოფელ ზეგავლენას ახდენდნენ ბეზობელი ხალხების ლიტერატურის იდეურ აღმავლობაზე.

ნ. ნეკრასოვი იყო დიდი პუშკინის მოწაფე, მისი საუკეთესო ტრადიციების დამცველი და განმავითარებელი. ახალ ისტორიულ პირობებში ნეკრასოვმა მოწინავე რუსული მწერლობის დემოკრატიული ტრადიციები კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა, გამდიდრა იგი ახალი მებრძოლი რევოლუციური სულისკვეთებით.

ჯერ ბელინსკის, ხოლო შემდეგ ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის დახმარებით ნ. ნეკრასოვმა ღრმად შეითვისა რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები და თავისი ნიჭი მთლიანად მშრომელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების სამსახურში ჩააყენა. ნ. ნეკრასოვი მით უფრო საყვარელი იყო მშობლიური ხალხისათვის, რომ მისი პოეზიის მებრძოლი ხმა ადრე გაისმა თვითმპყრობელური რუსეთის წინააღმდეგ.

ნეკრასოვი სხვა დიდ სამოციანელებთან ერთად გზას უკაფავდა ახალ მიმართულებას იმდროინდელი რუსეთის მთელ საზოგადოებრივ აზროვნებაში.

ნ. ნეკრასოვის პირველივე საუკეთესო ლექსებით მოხიბლული იყვნენ ბელინსკი და გერცენი. როცა ნეკრასოვმა ბელინსკის თავისი ლექსი „გზაში“ წაუკითხა, იგი გულაჩუყებული და ცრემლმორეული მივიდა ავტორთან, გადაეხვია და აღელვებული ხმით უთხრა: „თქვენ იცით თუ არა, რომ პოეტი ხართ და პოეტი ჭეშმარიტი!“ ამ ლექსის გამო ნეკრასოვმა გერცენისაგან უაღრესად აღფრთოვანებული წერილი მიიღო. უფრო ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს პოეტის შემდგომმა ლექსებმა, სადაც იყო ნაჩვენები ნამდვილი რუსეთი. მაგრამ თუ ნეკრასოვის ლექსები მოწინავე ადამიანებს აღაფრთოვანებდნენ, ისინი შიშსა და აღშფოთებას იწვევდნენ მეფის მოხელეებსა და ლიბერალებში. რეაქციონერმა მწერალმა ბულგარინმა მებრძოლი ლექსების გამო პოეტი ჟანდარმერიის წინაშე დააბეზღა. იგი წერდა: „ნეკრასოვი უაღრესად თავზეხელაღებული კომუნისტია... იგი საშინლად გაჰკივის რევოლუციის სასარგებლოდ“.

შემდეგდროინდელ ლექსებში ნ. ნეკრასოვმა კიდევ უფრო ღრმად და თანმიმდევრულად გამოხატა თავისი რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები.

ნიკოლოზ ნეკრასოვი ხალხმა შეიყვარა იმ მოელვარე და გულწრფელი განცდებისათვის, რომლებითაც აღბეჭდილი იყო პოეტის მთელი შემოქმედება. მის პოეზიაში გადმოცემული იყო მაშინდელი რუსეთის ცოცხალი სურათები. რაც მთავარია, ნეკრასოვი არა მარტო ხატავდა ბატონყმური ურთიერთობის შემაძრწუნებელ სურათებს, არამედ მკითხველში თვითმპყრობელური რუსეთის სიძულვილს ნერგავდა, უღვიძებდა მას შეურიგებლობის სულისკვეთებას და მოუწოდებდა გაბედულად ებრძოლა თავისუფლებისათვის, არ შეშინებოდა სიძნელეებისა, თამამად გადაელახა ყოველგვარი დაბრკოლება, „შიშზე უფრო საზიზღარი არაფერი არ შეიძლება იყოს“ — ამბობდა პოეტი და პირადი ცხოვრებითაც შეუპოვრობისა და გაბედულების ბრწყინვალე მაგალითს იძლეოდა.

ნ. ნეკრასოვის საუკეთესო ლექსები, რომლებშიც მხილებული იყო თვითმპყრობელობა, ლიბერალები და გამოთქმული იყო აშკარა გაბედული მოწოდება ბრძოლისაკენ, სამოციანი და სამოცდაათიანი წლების რევოლუციური ინტელიგენციის დევიზად გადაიქცა. მაშინ ყველამ ზეპირად იცოდა ლექსი, სადაც ვკითხულობთ:

„Иди в огонь за честь отчизны,
За убежденье, за любовь...
Иди и гибни безупречно.
Умрешь не даром: дело прочно,
Когда под ним струится кровь“.

ნ. ნეკრასოვის პოეზიაში უსაზღვრო მწუხარება და ნაღველია გამოხატული, მაგრამ ეს მწუხარება არასოდეს გულგატეხილობასა და უიმედობას არ იწვევს. მისი პოეზია განსაკუთრებით გხიბლავთ ნათელი ოპტიმიზმით, რის გამოხატვაც არც ისე იოლი იყო მაშინდელ რუსეთში. ნეკრასოვის ამ ოპტიმიზმის სათავე ხალხის სიყვარულსა და მისი ძალებისადმი რწმენაში იყო. რუსი ხალხის უკეთესი მომავლის რწმენა ჰოეტს ნათელ პერსპექტივებს უსახავდა, ენერგიას მატებდა, უფრო მეტად აიარაღებდა საბრძოლო სულისკვეთებით.

მწერალი ყველაზე მაღლა ადამიანის მოქალაქეობრივ შეგნებას აყენებს. მოქალაქე, რომელშიც ნეკრასოვი ხალხისა და სამშობლოს უანგარო მსახურს ხედავს, მისთვის წმიდათაწმიდა ცნებაა. მოქალაქის მაღალ მოვალეობას იგი სავალდებულოდ თვლის პოეტისთვისაც. პოეტის ფრთიანი ფრაზა — „არ გევალება შენ პოეტობა, მოქალაქის კი მუდამ გდევს ვალი“ დღემდე უკვდავია და ზედმიწევნით გამოხატავს სახალხო ხელოვნების არსს. თუ პოეტი ხარ, — ამბობდა იგი, — სანამ ვერ ხედავ ვერსაიდან მზეს, სამარცხვინოა გეძინოს და სიმართლე არ უთხრა შენს ერს, ღარიბ, მშიერ და გატანჯულ ადამიანებსო.

რასაკვირველია, ნეკრასოვი, რომელიც მოღვაწეობდა თვითმპყრობელური რუსეთის მძიმე პირობებში და განუწყვეტელ დევნას განიცდიდა, დაზღვეული არ იყო შეცდომებისაგან. „ნეკრასოვი, რომელიც პირადად სუსტი იყო, — აღნიშნავს ლენინი, — მერყეობდა ჩერნიშევსკისა და ლიბერალებს შორის, მაგრამ მთელი მისი სიმპათია ჩერნიშევსკის მხარეზე იყო. ნეკრასოვი იმავე პირადი სისუსტის გამო სცოდავდა ლიბერალური მაამებლობის გამოვლინებით, მაგრამ თვითონვე მწარედ დასტიროდა თავის „ცოდვებს“ და საჯაროდ ინანიებდა მათ“.

„ყალბი ხმა“ — ასე უწოდებდა ნეკრასოვი თავის შეცდომებს, მაგრამ პოეტის შემოქმედებისათვის არსებითი და დამახასიათებელია არა ეს შეცდომები, არა ეს „ყალბი ხმა“, არამედ მისი რევოლუციური მგზნებარება, მაღალი მოქალაქეობრივი მოტივები, რაც ასე ძვირფასია საბჭოთა ხალხისათვის. ნ. ნეკრასოვის რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალული ლექსები ხელს უწყობდნენ მშრომელი მასების გამოღვიძებას და საბრძოლო დარაზმვას. მუშათა კლასის ბელადები მუდამ აფასებდნენ ნეკრასოვის პოეზიას, მის პროგრესულ როლსა და უდიდეს დამსახურებას რუსული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების საქმეში. „ჯერ კიდევ ნეკრასოვი და სალტიკოვი ასწავლიდნენ რუს საზოგადოებას, — წერდა ლენინი, — ბატონყმობის მოტრფიალე მემამულის განათლებულობის შელამაზებული და მოკაზმული გარეგნობის ქვეშ დაენახა მისი მტაცებლური ინტერესები, ასწავლიდნენ სიძულვილს ასეთი ტიპების ფარისევლობისა და უსულგულობისადმი“.

დიდმა სტალინმა თავის სიტყვაში „სამეურნეო მუშაკთა ამოცანების შესახებ“, ძველი რუსეთისა და მისი ჩამორჩენილობის დახასიათებისას მაგალითად მოიყვანა ნეკრასოვის სტრიქონები.

ნეკრასოვის მართალი, რეალისტური ნაწარმოებნი დღესაც უსაზღვრო სიყვარულით სარგებლობენ საბჭოთა ადამიანებში. მისი პოეზია, გვაცნობს რა მშრომელი ხალხის მძიმე წარსულს, ამით გვეხმარება უფრო მეტად შეიყვაროთ ჩვენი ბედნიერი აწმყო, გავუფრთხილდეთ მას. ნეკრასოვის პოემის „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად?“ წაბაძვით რუსმა კოლმეურნეებმა შექმნეს ფოლკლორული ნაწარმოები „ვინ ცხოვრობს სსრ კავშირში კარგად“, რომელშიც ძველი უძლური და ღატაკი რუსეთის საპირისპიროდ დახატულია ძლიერი და უხვი, მდიდარი და ბედნიერი საბჭოთა რუსეთი, მისი ბედნიერი მშრომელი ადამიანები.

— მე ვამჩნევ უკეთესისაკენ გადადგმულ ნაბიჯებს, — ამბობდა პოეტი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში და ავადმყოფობისაგან ჩაფერფლილ, მაგრამ იმედის სხივით განათებულ თვალებს რუსი ხალხის ბედნიერი მომავლისაკენ აპყრობდა.

დღეს, როდესაც ნეკრასოვის ოცნება ახდა და ჩვენს ქვეყანაში ბედნიერი ცხოვრება დამკვიდრდა, მშობლიური ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლი პოეტის ნათელ ხსოვნას საბჭოთა ადამიანები უსაზღვრო სიყვარულით აღნიშნავენ.

ე. ძარელიშვილი.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 6 იანვარი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ განვლილი დღის მანძილზე კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შენაერთები ყველა ფრონტზე აწარმოებდნენ საარტილერიო სროლას ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

გასულ ღამეს ამერიკის თვითმფრინავებმა კვლავ სასტიკად დაბომბეს ქალაქი ფხენიანი. დაიღუპა ბევრი მცხოვრები. დანგრეულია რამდენიმე ათეული საცხოვრებელი სახლი და მიწური.

დღეს სახალხო არმიის საჰაერო ნაწილებმა და თვითმფრინავთა გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 6 და დააზიანეს 2 თვითმფრინავი.

ჰაერის ამერიკელ მეკობრეთა ბოროტმოქმედებანი კორეაში

ფხენიანი, 6 იანვარი. (საკდესი). ამერიკის ავიაცია კვლავ ბარბაროსულად ბომბავს და ცეცხლს უშენს კორეის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს. 5 იანვარს ღამით მძიმე ბომბდამშენები „მფრინავი ციხეები“ კვლავ დაესხნენ თავს ფხენიანის აღმოსავლეთ რაიონს. ათობით დიდი ბომბი დააყარეს ფხენიანელთა მიწურებსა და თიხატკეპნილ სახლებს. წინასწარი გამოანგარიშებით მოკლული და დაჭრილია 50-ზე მეტი კაცი, დანგრეულია ბევრი საცხოვრებელი შენობა.

ამ უკანასკნელ ხანს ამერიკის თვითმფრინავები სულ უფრო ხშირად აყრიან ნაპალმს მშვიდობიან სოფლებს. მარტო დეკემბერში და იანვრის პირველ დღეებში ფხენიანის მიდამოებში ნაპალმის ბომბებით გადაიწვა ორი სოფელი. დეკემბრის დამლევს ამერიკელი მოიერიშე თვითმფრინავები ორი დღის განმავლობაში ესხმოდნენ თავს სოფელ სიზოკენს (კანდონის მაზრა) და უშენდნენ მას მსხვილი კალიბრის ტყვიამფრქვევს. სოფლის მცხოვრებნი ახლომახლო გორაკებზე წავიდნენ. მაშინ ჰაერის მეკობრეებმა გორაკების კალთებს დააყარეს რამდენიმე ნაპალმიანი ბალონი. ამ ბოროტმოქმედების შედეგად დაიღუპა 18 ბავშვი. ბევრი დაიჭრა და დაშავდა.

კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ ამერიკის თვითმფრინავები კვლავ ბარბაროსულად ესხმიან თავს აღმოსავლეთის სანაპიროს ქალაქებს. განსაკუთრებით გააფთრებული იყო ამერიკის მოიერიშე თვითმფრინავთა თავდასხმა ქალაქ ხამხინზე. ჰაერის მეკობრეებმა ათობით ბომბი დააყარეს საგარეუბნო ბაზრებს, შემდეგ ტყვიამფრქვევი დაუშინეს ქალებსა და ბავშვებს, რომლებიც თავის გადარჩენას ცდილობდნენ. თავდასხმისათვის ამერიკელებმა აარჩიეს შუადღე, ე. ი. დრო, როდესაც ხამხინის ბაზრების რაიონებში განსაკუთრებით ბევრი ხალხია. მოკლულია 68 კაცი, 40-ზე მეტი კაცი მძიმედ დაიჭრა. დაინგრა და დაიწვა მშვიდობიან მცხოვრებთა 50-ზე მეტი სახლი.

კორეის შრომის პარტიის რიცხობრივი შემადგენლობის ზრდა

ფხენიანი, 5 იანვარი. (საკდესი). კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „ნოდონ სინმუნი“ წერს, რომ გასულ წელს ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესებისა და მასებთან კავშირის განმტკიცების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა და განმტკიცდა კორეის შრომის პარტიის რიგები. ამჟამად პარტიის რიგებშია ერთ მილიონზე მეტი მშრომელი — კორეის ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მოწინავე მებრძოლნი. მარტო განმათავისუფლებელი სამამულო ომის განმავლობაში პარტიაში შევიდა თითქმის 500 ათასი კაცი, რაც ცხადყოფს შრომის პარტიის წამყვან როლსა და გაზრდილ ავტორიტეტს.

ასობით მოწინავე მუშამ, გლეხმა და კორეის სახალხო არმიის მეომარმა, აღნიშნავს გაზეთი, ახალი წლის წინადღით შეიტანა განცხადება კორეის შრომის პარტიაში მიღების შესახებ, გამოთქვა რა სურვილი მის რიგებში იბრძოლოს თავისუფალი და დამოუკიდებელი კორეისათვის.

კორეა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ორთვიური

ფხენიანი, 6 იანვარი. (საკდესი). ამ დღეებში კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში დამთავრდა კორეა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ორთვიური, რომელშიც მთელ რესპუბლიკაში დიდი აღმავლობით ჩაიარა. ამ ხნის განმავლობაში ქალაქებისა და სოფლების დაახლოებით 3 მილიონმა მცხოვრებმა მოისმინა ლექციები და საუბრები სოციალიზმის ქვეყნის შესახებ, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების დარგში საბჭოთა ადამიანების მიღწევათა შესახებ. მთელ რიგ ქალაქებში გაიხსნა საბჭოთა ლიტერატურის გამოფენები, ფოტოგამოფენები „სსრ კავშირი კომუნიზმის მშენებლობის ქვეყანაა“, „საბჭოთა ხალხი მშვიდობისათვის ბრძოლაში“, „სტალინური ეპოქის დიდი მშენებლობანი“, „სსრ კავშირი მოწინავე კულტურის ქვეყანაა“ და სხვ.

სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის კორეის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარემ მწერალმა ლი გი ენმა, ილაპარაკა რა კორეა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ორთვიურის შედეგებზე, განაცხადა: ჩვენი ხალხი თვალისჩინივით უფრთხილდება ძმურ მეგობრობას დიდ საბჭოთა კავშირთან, განმტკიცებს მას, სწავლობს საბჭოთა ადამიანებისაგან, თუ როგორ უნდა იბრძოლოს თავისი თავისუფლებისა და ბედნიერი ცხოვრებისათვის. კორეა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ორთვიურმა კიდევ უფრო განამტკიცა მეგობრული კავშირი ჩვენს ხალხთა შორის, ცხადყო კორეელი ხალხის უსაზღვრო სიყვარული დიდ გენერალისიმუს სტალინისადმი, საბჭოთა ხალხის ბელადისა და კორეელი ხალხის საუკეთესო მეგობრისადმი.

რაჯომ გაიწვიეს ღი სინ მანი ჯოკიოშიო?

შანხაი, 7 იანვარი. (საკდესი). 5 იანვარს გენერალ კლარკის გაწვევით ტოკიოში ჩავიდა სამხრეთ კორეის „პრეზიდენტი“ ლი სინ მანი. ოფიციალური განცხადებებით, ლი სინ მანი იაპონიაში ჩავიდა ვითომდა იმ უთანხმოების აღმოსაფხვრელად, რომელიც იფერხებს „საზავო“ ხელშეკრულების დადებას იაპონიასა და სამხრეთ კორეას შორის.

მაგრამ იუნაიტედ პრესის სააგენტოს ტოკიოელმა კორესპონდენტმა განაცხადა, რომ კლარკმა „სხვა“ მიზნით გაიწვია ლი სინ მანი და რომ ამერიკის შეერთებული შტატები დიდად არიან დაინტერესებულნი, რათა იაპონია და სამხრეთ კორეა „პარტნიორებად“ გაიხდონ აზიის „თავდაცვის“ საქმეში, ე. ი. ჩაითრიონ იაპონია და სამხრეთ კორეა აგრესიულ წყნარი ოკეანის კავშირში, რომელსაც ამერიკელები აკოწწებენ, და კიდევ უფრო ფართოდ გამოიყენონ იაპონიისა და სამხრეთ კორეის ხალხები საზარბაზნე ხორცად. ამის მიხედვით სიმპტომატურია ის ფაქტი, რომ სამხრეთ კორეის „პრეზიდენტთან“ ერთად ტოკიოში ჩავიდნენ ლი სინ მანის არმიისა და ფლოტის შტაბების უფროსები.

ამას ადასტურებს აგრეთვე განცხადება თვითონ ლი სინ მანისა, რომელმაც იაპონიის პრემიერ-მინისტრ იოსიდასთან, ამერიკის ელჩ მერფისთან და გენერალ კლარკთან შეხვედრის შემდეგ იაპონიისა და სამხრეთ კორეას მოუწოდა „კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში“.

ლი სინ მანს განზრახული აქვს აგრეთვე „მოაწყოს“ იაპონიაში მცხოვრებ კორეელთა იძულებითი გაგზავნა სამხრეთ კორეაში, რათა ჯარისკაცებად გამოიყენოს ისინი.

ტოკიოში ლი სინ მანის ჩასვლამ და კორეაში ომის საწარმოებლად საზარბაზნე ხორცის მიწოდების შესახებ მისმა მოლაპარაკებამ იაპონიაში მცხოვრებ კორეელთა მტკიცე პროტესტი გამოიწვია. როგორც იაპონის რადიო იუწყება, გუშინ კორეის ერთიანი დემოკრატიული ფრონტის 120 წარმომადგენელი იაპონიაში ოსაკის, კიოტოს, ჰიოგოს და სიგის პრეფექტურებიდან მივიდა იოსიდას რეზიდენციაში, რათა პროტესტი გამოუთქვამთ მოლაპარაკების წინააღმდეგ, რომელსაც ლი სინ მანი აწარმოებს კლარკთან და იოსიდასთან.

როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ტოკიოდან იუწყება, ტოკიოს პოლიცია მზად არის საბრძოლველად იმ შემთხვევაში, თუ სამხრეთ კორეის „პრეზიდენტის“ წინააღმდეგ რაიმე დემონსტრაცია მოხდა.

ძლიერდება დეზერტირობა ამერიკის არმიაში

პარიზი, 6 იანვარი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლუისვილიდან (კენტუკის შტატი) იუწყება:

6 იანვარს ლუისვილის გაზეთი „ტაიმსი“, იმოწმებს რა, როგორც იგი აღნიშნავს, სამედო წყაროებს, იუწყება, რომ ამჟამად შეერთებულ შტატებში 25-30 ათასი დეზერტირია. გაზეთი დეზერტირობის გაძლიერებას ამით ხსნის, რომ ახალგაზრდობა შიშობს, რომ გაგზავნიან კორეაში, და რომ ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობა მტრულად ეპყრობა საყოველთაო სამხედრო ბეგარას.

„აგლანგიკის მანქანა ბუქსაობს“

რას ამბობს ფრანგული გაზეთი

პარიზი, 7 იანვარი. (საკდესი). გაზეთმა „მონდმა“ გამოაქვეყნა მოწინავე სტატია „ატლანტიკის არმიის პრობლემა“, რომელიც შეიცავს შემდეგ აღიარებას:

„ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის მუდმივი საბჭოს სესიის ნაწილობრივი ჩაფუშვა, საბჭოსი, რომელმაც მხოლოდ აღნიშნა ნაკლოვანებანი და გადადო გადასახდელების შეტანის ვადა, სამხედროებისათვის იყო... სასტიკი იმედგაცრუება... გენერლებს არ სურთ ილუზიებით ინუგეშონ თავი. მათ კარგად ესმით, რომ ატლანტიკის მანქანა „ბუქსაობს“. უმაღლეს მთავარსარდალს და მარშალს (ნაჟელისხმევია რიჯუეი და საფრანგეთის ძარშალი ჟუენი. — **რედ.**), ორივეს, მოაჩნიათ, რომ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალია გერმანიის მონაწილეობა ატლანტიკის არმიაში. მიეცით ამ მონაწილეობას, ამბობენ ისინი, ისეთი ფორმა, როგორიც გნებავთ, მაგრამ გერმანელი ჯარისკაცები ჩვენ აუცილებლად გვესაჭიროება“.

სამხედრო თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ფრანკისტულ ესპანეთს შორის

პარიზი, 6 იანვარი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო ბარსელონიდან იუწყება, რომ ესპანეთის ფლოტისა და ავიაციის უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის ოფიცრები, მიწვეულნი ამ მანევრებზე დასასწრებლად. რასაც ამერიკის მე-6 ფლოტის გემები აწყობენ ხმელთაშუა ზღვაში, ბარსელონიდან ამერიკის საელჩიერო ნალმონსებით გაემგზავრნენ მანევრების რაიონში.

მანევრების დამთავრების შემდეგ ამერიკის მე-6 ფლოტის შენაერთები ინახულებენ ესპანეთის ზოგიერთ ნავსადგურს.

ნახ. ი. ჭოჭიაშვილისა.

გმინავდა ზანგი ადამიანი,
ბორკილგაყრილი, ჯაჭვდადებული,
გადამთიელებს შავკანიანი
ეგონათ მონად დაბადებული.

მაგრამ წამოდგა, გაშალა მხრები,
დაწყვიტა რკინის ხუნდი ხელებით,
წამოიმართა! ხარობენ ძმები
და შიშით ძრწიან დამპყრობელები.

ხუტა ბერულავა.

ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის შემდეგ

რომი, 6 იანვარი. (საკდესი). მშვიდობის მოამხრეთა იტალიის მოძრაობის კომიტეტმა გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ მთელ იტალიაში გაჩაღდა ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის გადაწყვეტილებათა პოპულარიზაციის კამპანია. მშვიდობის მომხრეთა და მოქალაქეთა კრებები გაიმართა ქალაქებში მილანში, ანკონაში, რომში, პიზაში, ნეაპოლში, ფერარაში, ტურინში, პისტოიასა და გენუაში. ამ კრებებში მონაწილეობა მიიღეს ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის იტალიის დელეგაციის შემადგენლობაში შემავალმა პირებმა.

იაპონელი ხალხი წინააღმდეგობას უწევს ამერიკელ ოკუპანტებს

ლონდონი, 6 იანვარი. (საკდესი). გაზეთ „უესტერნ მეილ ენდ საუტ უელს ნიუსის“ ტოკიოელი კორესპონდენტის ცნობით, იაპონელი ხალხის წინააღმდეგობა ამერიკელთა სოკუპაციო ჯარებისადმი ძლიერდება. „მებადურებმა და გლეხებმა კუნძულ ოსიმაზე განცხადეს, — წერს კორესპონდენტი, — რომ ისინი ხელიხელს მისცემენ ერთმანეთს და ფიზიკურად არ დაუშვებენ ამერიკის გარნიზონის გადმოსხმას, რომელსაც განზრახული აქვს ააგოს კუნძულზე საჰაერო სადგური“.

კორესპონდენტი აგრეთვე აღნიშნავს, რომ მებადურები და გლეხები პროტესტს აცხადებენ ქვეითთა და სამხედრო-საჰაერო ნაწილებისათვის ბანაკების მშენებლობის წინააღმდეგ, სასწავლო სროლის წინააღმდეგ და სხვ.

მასობრივი სამხედრო წარმოებისათვის მზადება დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 7 იანვარი. (საკდესი). როგორც გაზეთ „ნიურნბერგერ ნახრიხტენის“ ცნობიდან ჩანს, დასავლეთ გერმანიის პატენტების საკითხთა უწყება მიუნხენში უკვე რამდენიმე თვეა განიხილავს სხვადასხვა სახის იარაღის წარმოების პატენტებს. დასავლეთ გერმანიის სამხედრო მრეწველობა ფიქრობს ამ იარაღის წარმოება დაიწყოს ბონის სეპარატული სამხედრო ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ. იმ ფირმებს შორის, რომლებიც ფიქრობენ განაახლონ უახლესი იარაღის მასობრივი წარმოება, გაზეთი ასახელებს კერძოდ, ისეთ ფირმებს, როგორიც არის „დაიმლერ-ბენც აგი“, „ფოკე-ვულფი“, „მესერშმიტი“, „იუნკერსის“ საწარმოები და მთელი რიგი სხვა ფირმები. გარდა უახლესი ტიპების სამხედრო თვითმფრინავებისა, დასახულია აგრეთვე უახლესი იარაღის მასობრივი წარმოება ჯავშანსატანკო ჯარებისათვის.

უმუშევრობა დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 7 იანვარი. (საკდესი). აღნ-ის სააგენტო ბონიდან იუწყება, რომ მუშახელის განმანაწილებელი ფედერალური სამმართველოს მიერ გამოქვეყნებული ცნობების თანახმად, დეკემბრის მეორე ნახევარში უმუშევართა რიცხვი დასავლეთ გერმანიაში გადიდდა 171.785-ით, ხოლო 1952 წლის ორი უკანასკნელი თვის განმავლობაში უმუშევართა რიცხვი გადიდდა 659.629-ით. ამ მეტად შემცირებული ოფიციალური ცნობებიდან ჩანს, რომ დასავლეთ გერმანიის ყოველ მომუშავე რვა მცხოვრებზე მოდის ერთი უმუშევარი.

ინგლისი ახალ სამხედრო ბაზას აშენებს სუეცის არხის ზონაში

კაირო, 7 იანვარი. (საკდესი). გაზეთმა „ად-დაავამ“ გამოაქვეყნა ცნობა თავისი სპეციალური კორესპონდენტისა, რომელიც სუეცის არხის ზონაში იმყოფება; ცნობაში ნათქვამია, რომ ინგლისის შეიარაღებული ძალების შტაბმა ახალი სამხედრო ბაზის მშენებლობა დაიწყო გინეიფის რაიონში.

კორესპონდენტი იუწყება, რომ ამ ბაზის მშენებლობაზე მუშაობს ინგლისის საპარაშუტო ნაწილების 5.000 ჯარისკაცი. ბაზას ექნება აეროდრომი, ანგარები, საომარი მასალების მიწისქვეშა საწყობები და საფორტიფიკაციო ნაგებობანი.

როგორც კორესპონდენტი იუწყება, ამ ბაზის მშენებლობასთან დაკავშირებით მოელიან, რომ ინგლისის შეიარაღებული ძალების რაოდენობა სუეცის არხის ზონაში გაორკეცდება.

1948 წლის სახელმწიფო 2% სესხი

მომგებიანი გამოშვება

ოფიციალური ცხრილი

დაფარვის 1-ლი ტირაჟისა, რომელიც შედგა 1952 წლის 20 დეკემბერს ქ. ... ქალაქში. დაფარვის ტირაჟში გავიდა სესხის ყველა 72 თანრიგი ... სერიებს ... 50-ვე ნომერი (№ 01-დან № 50-მდე):

სერიის №№	სერიის №№	სერიის №№	სერიის №№	სერიის №№	სერიის №№	სერიის №№	სერიის №№	სერიის №№	სერიის №№
000026	005263	010357	014692	019446	024198	028618	034566	040128	044863
000041	005293	010358	014746	019449	024208	028629	034582	040153	044892
000047	005315	010417	014789	019575	024223	028670	034805	040238	044966
000121	005357	010468	014802	019760	024245	028697	034820	040262	044997
000171	005383	010562	014842	019802	024262	028762	034908	040337	045015
000215	005423	010607	014861	019968	024264	028869	035001	040383	045095
000364	005445	010642	014880	019978	024340	028989	035140	040525	045103
000378	005522	010649	014924	020069	024394	029023	035241	040542	045133
000395	005552	010668	015063	020074	024406	029061	035281	040554	045137
000473	005573	010679	015192	020156	024447	029079	035317	040616	045171
000475	005627	010711	015203	020185	024453	029158	035363	040618	045279
000511	005641	010820	015221	020236	024457	029173	035366	040619	045392
000559	005737	010821	015269	020244	024611	029234	035442	040691	045434
000630	005793	010838	015323	020284	024612	029259	035499	040739	045681
000649	005794	010932	015325	020288	024667	029291	035523	040755	045722
000682	005810	011008	015352	020361	024683	029372	035546	040847	045747
000733	005814	011015	015491	020443	024710	029384	035589	040873	045777
000861	005852	011044	015509	020450	024744	029508	035642	040928	045814
000863	005891	011109	015513	020517	024808	029556	035666	040960	045843
000893	005892	011149	015515	020589	024827	029600	035691	040979	045920
000913	005947	011271	015616	020594	024830	029723	035882	040999	046060
001018	005954	011360	015648	020603	024909	029811	035941	041105	046071
001156	005982	011548	015675	020623	024935	029869	036050	041175	046088
001246	006032	011570	015711	020633	025003	029903	036061	041207	046094
001278	006047	011632	015792	020634	025056	029911	036107	041260	046095
001291	006071	011638	015814	020721	025231	029930	036123	041301	046127
001293	006084	011656	015919	020825	025264	030052	036142	041337	046219
001433	006148	011729	015962	020845	025291	030059	036186	041348	046280
001442	006252	011736	015970	020895	025295	030125	036198	041360	046330
001468	006256	011738	015976	020978	025306	030137	036230	041432	046434
001512	006356	011758	016009	021002	025365	030230	036259	041470	046577
001716	006446	011763	016022	021154	025392	030324	036324	041502	046603
001739	006532	011773	016032	021194	025435	030365	036326	041596	046607
001790	006533	011783	016046	021227	025437	030400	036336	041608	046614
001805	006548	011835	016049	021282	025553	030424	036359	041633	046655
001812	006617	011848	016061	021296	025616	030696	036386	041649	046673
001828	006624	011938	016123	021321	025626	030845	036432	041740	046715
001850	006674	011939	016272	021323	025647	030884	036451	041750	046721
001993	006705	011944	016274	021327	025700	030955	036484	041837	046758
001996	006718	011951	016284	021416	025759	031102	036588	041866	046777
002010	006749	011972	016364	021422	025763	031105	036591	041873	046813
002063	006774	012012	016420	021454	025784	031106	036648	041875	046862
002101	006779	012018	016489	021495	025857	031113	036705	041926	046887
002109	006782	012019	016510	021511	025839	031225	036733	041966	046910
002123	006841	012030	016539	021544	025866	031227	036837	042010	046923
002152	007123	012118	016612	021620	025892	031440	036875	042093	046988
002200	007132	012159	016784	021636	026015	031519	036934	042126	047051
002222	007145	012191	016807	021672	026133	031565	036938	042151	047231
002249	007176	012266	016822	021691	026147	031648	036956	042259	047322
002297	007242	012276	016898	021702	026152	031944	036967	042405	047336
002298	007397	012289	016960	021773	026163	031965	037181	042431	047348
002339	007506	012299	016972	021778	026188	031969	037242	042475	047446
002418	007530	012322	016993	021798	026556	031971	037252	042497	047482
002443	007649	012349	016997	021916	026732	031982	037303	042543	047569
002469	007730	012522	017037	021945	026763	032037	037430	042558	047570
002480	007814	012586	017050	021978	026827	032048	037492	042632	047616
002492	007924	012679	017256	021994	026828	032088	037570	042738	047670
002516	008005	012683	017277	022124	026872	032102	037667	042785	047723
002528	008135	012690	017306	022125	026903	032116	037994	042819	047789
002532	008144	012691	017361	022196	026937	032173	038001	042844	047818
002593	008177	012818	017405	022204	026978	032182	038032	043009	047968
002602	008180	012823	017496	022336	027075	032247	038075	043067	048030
002705	008241	012843	017516	022443	027098	032251	038156	043143	048116
002767	008266	012941	017732	022455	027101	032362	038195	043207	048145
002782	008358	012942	017799	022480	027112	032403	038212	043218	048285
002986	008359	013042	017823	022507	027180	032418	038273	043312	048310
003002	008425	013085	017875	022534	027241	032419	038358	043324	048317
003149	008430	013095	018068	022535	027325	032536	038401	043325	048385
003195	008523	013138	018251	022555	027419	032578	038569	043375	048447
003205	008550	013155	018293	022594	027441	032641	038587	043419	048473
003301	008605	013281	018345	022649	027489	032665	038684	043461	048475
003302	008643	013370	018386	022656	027501	032682	038733	043512	048550
003344	008768	013391	018544	022674	027503	032924	038778	043559	048591
003377	008774	013460	018599	022684	027610	032926	038780	043657	048655
003621	008792	013470	018640	022699	027638	032942	038864	043674	048863
003642	008805	013624	018692	022718	027735	032981	038890	043683	048864
003675	008891	013662	018730	022744	027736	033087	038938	043688	048996
003710	008898	013677	018753	022758	027830	033092	039045	043741	049009
003752	008942	013722	018786	022787	027831	033101	039061	043755	049029
003856	009114	013918	018788	022933	027847	033133	039075	043767	049034
003971	009118	013961	018920	022958	027866	033141	039149	043858	049070
004022	009245	014090	018987	022972	028094	033308	039163	043895	049080
004029	009274	014162	019014	023028	028110	033475	039221	043906	049113
004100	009374	014215	019085	023057	028116	033500	039226	043947	049122
004127	009379	014252	019087	023068	028148	033509	039337	043995	049234
004222	009469	014283	019118	023211	028161	033520	039364	044053	049291
004354	009531	014289	019119	023269	028265	033680	039410	044071	049292
004424	009558	014338	019130	023278	028279	033682	039415	044273	049409
004446	009644	014350	019134	023329	028285	033735	039515	044361	049455
004465	009687	014403	019147	023337	028293	033736	039549	044488	049474
004533	009715	014410	019207	023348	028313	033779	039625	044511	049505
004545	009734	014429	019319	023381	028384	033854	039681	044529	049572
004558	009872	014464	019335	023422	028395	033901	039686	044616	049588
004664	009921	014497	019342	023559	028400	033998	039729	044623	049642
004726	010056	014509	019365	023696	028474	034022	039771	044664	049740
004784	010109	014510	019368	023704	028481	034154	039817	044711	049892
004793	010162	014552	019372	024111	028520	034301	039976	044719	049907
004966	010185	014593	019407	024129	028525	034424	040075	044847	049919
005035	010313	014630	019414	024139	028607	034452	040103	044848	049982
005257	010328	014645	019433	024161	028610	034458	040110	044858	049996

ეს ცხრილი წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს, რომლის მიხედვით შემნახველი სალაროები დადგენილი წესით ანაღდებენ დაფარვის ტირაჟში გასული ობლიგაციების ნომინალურ ღირებულებას 1953 წლის 1 იანვრიდან.

დაფარვის ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — კალუგის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოთა კავშირის გმირი პ. მ. ტარასოვი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი საფინანსო სამსახურის მრჩეველი ს. დ. ვოროზეკოვი.

რედაქტორი გ. მერკვილაძე.

საქართველოს რადიოგადაცემათა 9 იანვრის პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით: 06.45 — ი. ტუსკიას სიუიტა „სამშობლო“; 09.20 — სიმღერები კომუნიზმის დიად მშენებლობებზე; 11.00 — „პიონერთა დაფაონი“; 12.15 — შოპენის საფორტეპიანო პიესები; 12.45 — ქართული ხალხური სიმღერები; 17.15 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები. (თბილისის საქალაქო ქსელით); 18.15 — ჩაიკოვსკის რომანსები; 19.20 — საბალეტო მუსიკის კონცერტი; 19.45 — ნარკვევი ახალგაზრდა ტყიბულელ მეშახტეებზე. **რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით:** 20.30 — კომპოზიტორ გრიგის სიმღერები (თბილისის საქალაქო ქსელით). 20.45 — ქართული ხალხური სიმღერები; 21.00 — ლექცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელთა დასახმარებლად: „ლენინი და სტალინი საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელები“; 22.45 — ახალგაზრდა პროზაიკოსების ნაწარმოებები: თ. გოგოლაძის „ოქროს ყანა“ და გ. თელიას „პროფესორი“; 23.00 — რუმინელ და უნგრელ ხელოვნების ოსტატთა კონცერტი; 00.05 — ლირიკული სიმღერები.

დღეს თეატრებში

რუსთაველის სახელობის — რვალი (დღისით), ჩაძირული ქვები (საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის** — გაზაფხულის დილა (დღისით), რაც გინახავს, ვეღარ ნახავ (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — ღრმა დაზვერვა (დღისით) ცოცხალი ლეში (საღამოს, აბონემენტი 25, 26); **სომხური დრამის** — ოქროს ქალაქი (12 ს.), ქალიშვილი ლუსაკერტიდან (საღამოს); **მუსიკალური კომედიის** — თბილისის ცის ქვეშ; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — უკანასკნელი ორიანი (აბონემენტი 50, 12 ს.), გარდატეხა (აბონემენტი 23, 7 ს.).

შვილები მერი, ციალა, კარლო, და თამარ, დისწული თინათინ, სიძე სავლე ხონელიძე იუწყებიან **მარიამ გიორგის ასულ კურკუმელი-კაიშაურის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-I სოფ. ფასანაურში.

შვილები ნინო, ქეთო, შვილიშვილი გივი, რძალი თამარ, სიძე ვახტანგ თუხარელი იუწყებიან **ელისაბედ ჯალიაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-I ლაგოდეხში.

შვილი გიორგი ჯალიაშვილი, რძალი მარგო, შვილიშვილი ლუიზა იუწყებიან **ელისაბედ ჯალიაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-I ლაგოდეხში.

მეუღლე ანა. შვილები ვასილ, გიორგი, კატო, თინა, სიძე მიხეილ მაჭარაშვილი, შვილიშვილები კოტე, ნიკო, ილია იუწყებიან **ნიკოლოზ გიორგის-ძე კიკნაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-I, 7 ს. გამოსვენება 11-I, 3 ს. 9 ძმის მე-2 შესახვევი № 7.

შვილები მამია, ქსენია, რძლები ვერა, მავრა, შვილიშვილები ლამარა, ოთარ, ნიურა, ლალი